

საქართველო



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგობიღ ბეჭე-
უძი სიფყაა, ფყილუბით და ჭბრბით ბუბ-
თის გაღანა ყულა უკადრისბბაგ უსაბაგლსია.

გამოქმნი 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 23 თებერვალი. 2022 წ. №29 (9367) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ფასი 1 ლარი

ოკუპირებული უკრაინა, აგრესორი რუსეთი...



**გონებით განუსჯელა
კუბინა ალვირი
აისსნა, საქართველოს
მინა-წყლის მიტაცება
შერჩა, ახლა კი „ლენინის
უკრაინას“ ანადგურებს!**

**ამაოა ამ გაუმადარი დამპყრობლის
ხელის ქნება, ვერს საქართველოს და
ვერს უკრაინას რუკებიდან ვერ წაშლის,
პირიქით, რუსეთს გამანადგურებლად
დაატყდება თავს მსოფლიო
საზოგადოებრიობის
სამართლიანი რისხვა!**



**ვოლოდიმირ ზელენსკი ვეროაბსა და
მსოფლიოს მოუნოდებს, არ გაიქორპონ
2008 წელს საქართველოში დაუპყრული
ტრაგიკული უმცდოეები!**

შორისო პარტნიორებისა და საერთაშორისო საზოგადოებისგან მიგ-
ვანია, რომ რუსეთის ეს გადაწყვეტილება ქმნის სამართლებრივ სა-
ფუძველს უკრაინის სახელმწიფოს წინააღმდეგ შემდგომი
შეიარაღებული აგრესიისთვის! - აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენ-
სკიმ.

უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ასეთი გადაწყვეტილე-
ბით რუსეთი არღვევს ყველა შესაძლო ორმხრივ და მრავალმხრივ
საერთაშორისო ვალდებულებებს.

„ჩვენ ვიზიარებთ საერთო შეხედულებას, რომ რუსეთის ესკალაცია
უკრაინის ირგვლივ უბრეცედენტო გამოწვევაა ევროპისა და ზოგადად
მსოფლიოსთვის. სწორედ უკრაინაში წყდება ევროპის უსაფრთხოების
მომავალი, რომლის ნაწილიც უკრაინაა“.

- ეს უკრაინის წინააღ-
მდეგ აგრესიის ახალი აქ-
ტია, რომელიც მოითხოვს
დაუყოვნებლივ და გადამ-
წყვეტ რეაგირებას საერთა-

**კუბინს სურს, დასავლეთის
მხრიდან ანეული ხელეები
დაინახოს, მებრამ დასავლეთის
ლიდერებსა აქვთ თავმოყვარეობა!..**



საქართველო მტკიცედ გმობს რუსეთის მიერ უკრაინის რეპრონების „ალიაბებას“

საძარტველო მტკიცედ გმობს რუსეთის მიერ უკრაინის
დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონების „ალიაბებას“, რაც
იმეორებს იმ სცენარს, რამაც ჩვენი ტერიტორიის 20%-ის ოკ-
უპაცია გამოიწვია, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენ-
ტმა, სალომე ზურაბიშვილმა.

„პრეზიდენტ ზელენსკის მივმართავ: საქართველო თქვენს
გვერდით დგას და მხარს უჭერს უკრაინის ტერიტორიულ
მთლიანობასა და მშვიდობას“, - აღნიშნა საქართველოს პრე-
ზიდენტმა.

* * *
პრეზიდენტის სასახლეზე უკრაინის სოლიდარობისა და მხარ-
დაჭერის ნიშნად, უკრაინისა და საქართველოს სახელმწიფო დრო-
შები გადმოვიწესებ.

რუსეთი 2008 წლის საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას იმეორებს

რუსეთის მიერ დონეცკისა და ლუგანსკის ალიაბება კი-
დეგ ერთი ნაბიჯია, რომელიც მიმართულია საერთაშორისო
სამართლის ფუნდამენტური პრინციპების წინააღმდეგ
და, სამწუხაროდ, 2008 წელს საქართველოს ტერიტორიების
ოკუპაციას იმეორებს, - განაცხადა საქართველოს პრემიერ-
მინისტრმა ირაკლი ლარიამ.

„ჩვენ მტკიცედ ვუჭერთ მხარს უკრაინის სუვერენიტეტ-
სა და ტერიტორიულ მთლიანობას“, - აღნიშნა საქართვე-
ლოს პრემიერ-მინისტრმა.

რუსეთის პრეზიდენტი: ②

**ჩვენ მზად ვართ, გარკვევით,
რას ნიშნავს უკრაინისთვის
ნამდვილი დემოკრატიზაცია**



**ქალაქობის
უკიდებანო
სცენა ⑥**

ეროვნული ⑤

**თანხმობა -
როგორც იღაა
საქართველო!**





ჩვენ არაფრის და არაფრის გვეშინია. ჩვენ არაფრის არაფერს მივცემთ. ჩვენ საკუთარ მიწაზე ვართ. ჩვენ უკან სიმაღლეთა. ჩვენ უკან უკრაინაა. ერთადერთი მიზანი უკრაინაში მშვიდობაა. დიდება უკრაინას!

გაერო

ბაპროს გენერალური მდივანი, ანტონიო გუტერეში მიიჩნევს, რომ ორი სუპერპატისტიული რეგიონის აღიარება...

„გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, გენერალური ასამბლეის შესაბამისი რეზოლუციების შესაბამისად, მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში“...

ეუთო

ეუთო მკაცრად გამოხატავს რუსეთის გადანაცვლებას უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების გარკვეული ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარების შესახებ.

„ეს ნაბიჯი საერთაშორისო სამართლის და ეუთოს ფუნდამენტური პრინციპების დარღვევაა და ეწინააღმდეგება მინსკის შეთანხმებებს. ეუთოს ყველა წევრმა სახელმწიფომ, მათ შორის რუსეთმა, ვალდებულია აიღოს პატივი სცეს სხვების სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. მოვუწოდებთ რუსეთს, დაუყოვნებლივ გააუქმოს ეს გადანაცვლებები. ეს აღიარება მხოლოდ კიდევ უფრო გაამწვავებს დაძაბულობას და განაცალკევებს ამ რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას მათი ქვეყნის, უკრაინის დანარჩენი ნაწილისგან“...

ნატო

მზამო რუსეთის მიერ უკრაინაში დონეცკისა და ლუგანსკის აღიარებას, განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა, იენს სტოლტენბერგმა.

„ეს არღვევს კონფლიქტის მოგვარების ძალისხმევას და არღვევს მინსკის შეთანხმებებს, რომლის მხარე რუსეთიცაა. ნატო მხარს უჭერს უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ მოვუწოდებთ მოსკოვს, შეწყვიტოს კონფლიქტის გაღვივება და დიპლომატია აირჩიოს“...

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

ჩვენ მკაცრად ვგმობთ პრეზიდენტ პუტინის გადანაცვლებას ენ. „დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობა აღიარების შესახებ, - ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ეს გადანაცვლება რუსეთის მიერ მინსკის შეთანხმებების ფარგლებში თავის ვალდებულებებზე უარის თქმას წარმოადგენს, პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის გაცხადებულ ერთგულებას დიპლომატიისადმი და აშკარა შეტევაა უკრაინის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება არ აღიარონ ახალი „სახელმწიფო“, რომელიც შეიქმნა ძალის გამოყენების ან მისი გამოყენების მუქარის გზით, ასევე ვალდებულია, არ დაარღვიოს სხვა სახელმწიფოს საზღვრები. რუსეთის გადანაცვლება კიდევ ერთი მაგალითია პრეზიდენტ პუტინის მხრიდან საერთაშორისო სამართლისა და ნორმების აშკარა უპატივცემულობისა“...

ვლადიმერ პუტინმა ოპორტიუნისტული დონეცკისა და ლუგანსკის „დამოუკიდებლობა“ აღიარა

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ოპორტიუნისტული დონეცკისა და ლუგანსკის ენ. „დამოუკიდებლობა“ აღიარა.

მანამდე რუსეთის მიერ ოპორტიუნისტული დონეცკისა და ლუგანსკის ენ. „ლიდერებმა“ ვლადიმერ პუტინს აღიარება სთხოვეს. 15 თებერვალს, რუსეთის სახელმწიფო დუმამ დადგინდა მიიღო, რომელშიც რუსეთის პრეზიდენტს მოუწოდებდნენ დონეცკისა და ლუგანსკის ენ. „დამოუკიდებლობა“ აღიაროს. დონეცკისა და ლუგანსკის აღიარებამ შესაძლოა ძირი გამოუთხაროს მინსკის სამშვიდობო პროცესს აღმოსავლეთ უკრაინაში.

„კიევი არ იცავს მინსკის შეთანხმებებს. ჩვენს მოქალაქეებსა და თანამემამულეებს, რომლებიც დონბასში ცხოვრობენ, ჩვენი დახმარება და მხარდაჭერა სჭირდებათ“, - განაცხადა სახელმწიფო დუმის სპიკერმა, ვიაჩესლავ ვოლოდინმა. მანამდე უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა, დმიტრო კულებამ აღნიშნა, რომ თუკი აღიარების შესახებ გადანაცვლებები მიღებული იქნება, რუსეთი დე ფაქტო და დე იურე გაუვიწყრდება უკრაინის შეთანხმებებიდან ყველა თანმდევი შედეგით.

რუსეთის პრეზიდენტი: ჩვენ გზად ვართ, გაჩვენოთ, რას ნიშნავს უკრაინისთვის ნამდვილი დემოკრატია

რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის თქმით, დონბასში ვითარებამ კვლავ კრიტიკული, მწვავე ხასიათი მიიღო. მისი თქმით, რუსეთისთვის უკრაინა უბრალოდ მეზობელი ქვეყანა არ არის.



„უკრაინა ჩვენთვის უბრალოდ მეზობელი ქვეყანა არაა, ეს არის ჩვენი საკუთარი ისტორიის, კულტურის სულიერის სივრცის განუყოფელი ნაწილი. ისინი არიან ჩვენი ამხანაგები, ახლობლები, რომელთა შორის არა მხოლოდ კოლეგები, მეგობრები, ყოფილი თანამშრომლები არიან, არამედ ასევე ნათესავები, ჩვენთან სისხლით და ოჯახით დაკავშირებული ადამიანები. თანამედროვე უკრაინა სრულად არის შექმნილი რუსეთის მიერ, უფრო სწორად ბოლშევიკური, კომუნისტური რუსეთის მიერ. ეს პროცესი დაიწყო პრაქტიკულად 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, ამასთან ლენინი და მისი თანაგუნდოლები ამას თავად რუსეთის მიმართ საკმაოდ უხეში გზით აკეთებდნენ - მისი საკუთარი ისტორიული ტერიტორიების გამოყოფის სანაცვლოდ“...

რუსეთის ლიდერი მიიჩნევს, რომ უკრაინას შეიძლება, ეწოდოს ლენინის სახელობის ქვეყანა, რადგან ის სწორედ ლენინმა შექმნა.

„დიდი სამამულო ომის წინ და შემდეგ სტალინმა საბჭოთა კავშირს შეუერთა და უკრაინას გადასცა გარკვეული მიწები, რომლებიც მანამდე პოლონეთს, რუმინეთს და უნგრეთს ეკუთვნოდა. ამასთან, ერთგვარი კომპენსაციის სახით, სტალინმა პოლონეთს ისტორიული გერმანული ტერიტორიების ნაწილი გადასცა, 1954 წელს კი, სრულყოფილი რუსეთის რატომღაც ყირიმი წაართვა და უკრაინას აჩუქა. ასე ჩამოყალიბდა საბჭოთა უკრაინის ტერიტორია. ბოლშევიკური პოლიტიკის შედეგად შეიქმნა საბჭოთა უკრაინა, რომელსაც დღესაც შეიძლება ვუწოდოთ ლენინის სახელობის უკრაინა. ეს ყველაფერი დასტურდება არქივის დოკუმენტებით. ახლა კი მადლობელმა შთამომავლობამ ლენინის ძეგლები დაამხო და ამას დეკომუნისტურად უწოდა. ჩვენ მზად ვართ, ვაჩვენოთ, რას ნიშნავს უკრაინისთვის ნამდვილი დემოკრატია. ჩვენ ეს საფრთხი გვანჯობს. თუმცა, არ არის საჭირო შუა გზაზე გაჩერება. ჩვენ მზად ვართ, ვაჩვენოთ, რას ნიშნავს უკრაინისთვის ნამდვილი დემოკრატია“, - აღნიშნა პუტინმა.

პუტინს სურს, დასავლეთის მხრიდან ანეული ხელები დაინახოს, მაგრამ დასავლეთის ლიდერებსაც აქვთ თავმოყვარეობა!..



დონბასის რეგიონში მზარდი დაძაბულობის მოტივით, რუსეთი და ბელარუსი ათდღიან წვრთნებს ახანგრძლივებენ. ნატოში აცხადებენ, რომ რუსეთს ბელარუსში 30 000-მდე ჯარისკაცი ჰყავს და შეუძლია გამოიყენოს ისინი, როგორც დამატებითი ძალა უკრაინაზე თავდასხმისთვის. მოსკოვი მსგავს განზრახვას უარყოფს, ამის ფონზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ამბობს, რომ სერგეი ლავროვს იმ პირობით შესვლება, თუ რუსეთი უკრაინაში არ შეიჭრება. თავის მხრივ, უკრაინის საკითხზე სამხრეთ მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ რუსეთისა და საფრანგეთის პირველი პირები.



გაფართოებაზე და, ბოლოს და ბოლოს, შესაძლებელია რუსეთის მიერ შექმნილი კრიზისი დიპლომატიური გზით გადაწყდეს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ რამაზ სანჭბარაძემ ესაუბრა. მმარში მამრნი და ვლადიმერ პუტინი უკრაინის საკითხზე სამხრეთ მოლაპარაკებებზე შეთანხმდნენ. მოლაპარაკების

თემა იქნება არსებული კრიზისის დიპლომატიური გადაწყვეტა. თუმცა, არის სხვადასხვა შეფასებები, რომ რუსეთი ევროპაში უფრო დიდ ომს გეგმავს, ვიდრე ეს იყო 1945 წლის შემდეგ. ნატოს თავმჯდომარე და აშშ-ის პირველი პირი ამბობს, რომ რუსეთი უკრაინაში შესაჭრელად ემზადება. ის, რაც ახლა ხდება უკრაინა-რუსეთის შორის, არაა კომედის სფერო, მაგრამ გზავს, რომ ძალიან პრინციპული და პირდაპირი არის უკრაინის პრეზიდენტი, რომელიც პროფესიით არის კომიკოსი. რამდენად სწორად მიჰყავს ზელენსკის პროცესები და ელოდით, რომ ანგარიშგასაწევი ძალა გახდებოდა?

რამაზ სანჭბარაძემ: რეგიონი უკრაინის მხრივ კომიკოსი არ იყო, მსახიობი გახლდათ, მაგრამ ძალიან სერიოზული პრობლემის წინაშე დააყენა მეტოქე - იმ დროს საბჭოთა კავშირი. ასე რომ, როგორც ჩანს, მშობლიური პროფესია არ არის გადამწყვეტი იმ ადგილზე, სადაც მიდის ადამიანი, არამედ ვითარებაზეა დამოკიდებული. რაც შეეხება 2008 წელთან პარალელს, ბევრი პარალელი გაკეთდა და არც გვასხოვს, რომ ასე ხშირად საქართველოს პრობლემა ეხსენებინათ უცხოელებს, როგორც ახლა უკრაინის შემთხვევაში ხდება. მაგრამ მე სწორედ ამ მაგარამის იქით დაფიქრება მინდა თქვენთან ერთად. 2008 წლის აგვისტოს ომი პუტინის გარკვეული განწყობილებების ფონზე იყო დაწყებული. კერძოდ, პუტინი შეჰპირდა დასავლეთს - თუ თქვენ აღიარებთ კოსოვოს, მე ვაღიარებ აფხაზეთს და ოსეთს.

- ეს იყო კონკრეტული მითითება მაშინ...
- დიას და როგორც კი დასავლეთმა აღიარა კოსოვო, რამდენიმე თვეში დაიწყო ომი, რამაც პუტინს მისცა ამ რეგიონების აღიარების საშუალება. ასე რომ, პუტინი გარკვეული ლოგიკით ხელმძღვანელობდა. ეკრ ვიტყოდი, რომ ეს პრაგმატული ლოგიკა გახლდათ, მაგრამ რუსული გათვლებით იყო ლოგიკა, რომელიც დასავლეთისთვის ჭკუის სწავლებას გულისხმობდა.
- ორად გაყოფილმა დასავლეთმა ისწავლა ტყუა?
- დასავლეთს ჭკუის სწავლებაში რუ-

მხარს ვუჭერთ დიპლომატიურ მოლაპარაკებებს და პროვოკაციას არ წამოვეგებით. უკრაინას გაეროს წესდებით გაწერილი კოლექტიური და ინდივიდუალური თავდაცვის უფლება აქვს. ახლა ქაოსის დრო არ არის, ჩვენ დიპლომატიური გზის მომხრეები ვართ და ამ გზას არ გადავუხვევთ. ვოლოდიმირ ზელენსკი

გაუპიდა სხინვალუი? გაიმეორა ლუგანსკუი!..


გამართიანდებული ერების ორგანიზაციაში უკრაინის მუდმივმა წარმომადგენელმა, სერგეი კოსლიცამ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ რუსეთის ფედერაციამ სიტყვასიტყვით გაიმეორა საკუთარი გადაწყვეტილება უკრაინის სუვერენული ლუგანსკის რეგიონის ენ. დამოუკიდებლობის აღიარებაზე, ისევე როგორც ეს 2008 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიის, ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში გააკეთა. ინფორმაციას უკრაინული მედია ავრცელებს.

„სიტყვასიტყვით დაბაპოპირატი. არანაირი კრანტიულობა“ – განაცხადა კოსლიცამ და გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებს წარუდგინა ორივე დოკუმენტი, რომელშიც ანალოგიური ტექსტები ხაზგასმულია.

„ქსეროქსი კარგად მუშაობს. ვინ იქნება შემდეგი? ეს ღია კითხვაა“ – დასძინა უკრაინელმა დიპლომატმა.

უკრაინის ლუგანსკის რეგიონის შესახებ, 2022 წლის 21 თებერვლით დათარიღებულ განკარგულებაში საუბარია: „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხალხის ნების გათვალისწინებით, უკრაინის უარზე კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარებაზე „მინსკის შეთანხმებების“ შესაბამისად, ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნას აღიარებული“. დოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს ლუგანსკის მხარესთან მოლაპარაკებები დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე და მიღწეული შეთანხმება გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტებით.“

განკარგულების თანახმად, ასევე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმასრულებელი ხელისუფლების დანიშნულ ბუღალტრულ ფედერალურ ორგანოებთან ერთად დაევალა, „განახორ-



ციელოს მოლაპარაკებები ლუგანსკის მხარესთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების პროექტის მომზადებაზე და წინადადება მისი ხელმოწერის თაობაზე დადგენილ ჩარჩოებში წარადგინოს.“

„ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელის მიერ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსთვის მიმართვასთან დაკავშირებით, განკარგულების მესამე პუნქტში მითითებული შეთანხმების დადებამდე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშვიდობის მხარდაჭერა უზრუნველყონ“ – ნათქვამია დოკუმენტში.

რაც შეეხება ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის შესახებ განკარგულებას, რომელიც 2008 წლის 26 აგვისტოთი თარიღდება, იქ ნათქვამია: **„სამხრეთ ოსეთის ხალხის ნების გათვალისწინებით, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა სუვერენულ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნას აღიარებული“**.

დოკუმენტში ასევე წერია, რომ „რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განახორციელოს სამხრეთ ოსეთის მხარესთან მოლაპარაკებები დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე და მიღწეული შეთანხმება გაფორმდეს შესაბამისი დოკუმენტებით.“

„საგარეო საქმეთა სამინისტროს, აღმასრულებელი ხელისუფლების დანიშნულ ფედერალურ ორგანოებთან ერთად, დაევალოს, განახორციელოს მოლაპარაკებები სამხრეთ ოსეთის მხარესთან მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმების პროექტის მომზადებაზე და წინადადება მისი ხელმოწერის თაობაზე დადგენილ ჩარჩოებში წარადგინოს“,

– აღნიშნულია დოკუმენტში. აქვე ნათქვამია: **„სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროსთვის მიმართვასთან დაკავშირებით, განკარგულების მესამე პუნქტში მითითებული შეთანხმების დადებამდე, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულმა ძალებმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მშვიდობის მხარდაჭერა უზრუნველყონ.“**

სეთის სათავისო ჭკუის სწავლება უნდა, კერძოდ, – დასავლეთს ემინოდეს რუსეთის. 2008 წლის ტრაგედიის შემდეგაც დასავლეთი არ იყო დარწმუნებული, რომ ეს რუსეთის აქცია იყო და მიაჩნდათ, რომ შემთხვევითობა იყო და მერე უკვე 2014 წელს უკრაინასთან დაინახეს კანონზომიერება, რომ თურმე რუსეთი მონსტრი ყოფილა. დღეს, როდესაც რუსეთმა ჯარის ტრიადი დაიწყო საზღვართან, დასავლეთი დარწმუნებულია, რომ პუტინი ომს დაიწყებს უკრაინის წინააღმდეგ. 2008 წლის ისტორია იმიტომ გავიხსენებ, რომ პუტინისთვის გარკვეული ლოგიკა ჰქონდა მის მიერ დაწყებულ ომს.

– რას გულისხმობთ?
– პუტინის სურდა დასავლეთის მხრიდან მეტი ანგარიშგანევა. თუკი ამ თვალთ შევხედავთ, ახლაც იგივე უნდა და ჩამოთვალა მთელი საკითხები, ამიტომ ატრიალებს ჯარს საზღვარზე, მაგრამ, თუკი გადალახავს საზღვარს და გადავა შეტევაზე, მერე ანგარიშგანევა ვერ მიიღებს, მიიღებს სადამსჯელო სანქციებს.

– სადამსჯელო სანქციებზე არ იყო საუბარი 2008 წელს, არც 2014 წელს... და ახლა წინასწარ აფრთხილებენ...

– უხატავენ იმ სურათს, რაც სანქციებით შეიქმნება, მაგრამ მეორე მხრივ, სანქციების გარეშე, თუკი პუტინმა მიანია ანგარიშგანევა და უკვე ვხედავთ, რომ დიალოგები სულ უფრო ხშირად იმართება პუტინთან, შეიძლება უარი თქვას საომარ მოქმედებებზე. პუტინისთვის ძალიან წამგებიანი იქნება ომი და შეიძლება დაკმაყოფილდეს იმით, რომ დაშინებული დასავლეთი დაჯდეს დიალოგის მაგიდასთან.

– ორად გაყოფილი დასავლეთის ფონზე, მიიღებს კი რუსეთი იმას, რაც უნდა, ანუ ნატო უარს იტყვის გაფართოებაზე?

– შეიძლება, რომ მიიღოს. სხვა თუ არაფერი, რამდენჯერმე ითქვა და მათ შორის ბაიდენის მხრიდან

ნაც, რომ უახლოეს ხანებში უკრაინის და საქართველოს ნატოში მიღება არ იგეგმება. შეიძლება მივიღოთ ასეთი სურათი, რომ ნატომ და დასავლეთმა უარი თქვან პრინციპზე – ნატო გაფართოვდეს ნებისმიერი მიმართულებით, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთ ქვეყანას არ მისცეს ნატოს წევრობის საშუალება.

აქ მეტი უნდა რუსეთს. უნდა, რომ პრინციპულად ნათქვამი შეაცვლევინოს დასავლეთს და პრინციპულად ათქმევინოს, რომ ჩვენ არ გავფართოვდებით, თუკი ეს რუსეთს არ ენდომება. ასე რომ, ფაქტობრივად, ნატოს პოლიტიკაში ჩარევა და შესწორება არის პუტინის ამოცანა და შეიძლება ოცნებაც, იმიტომ რომ, ბოლოს და ბოლოს, რაში სჭირდება ცვლილებები?! ნატომ შეიძლება ვერ მიიღოს უკრაინა და საქართველო, თუნდაც თავისი წესდების მომიზეზებით.

ორივე ქვეყანაში კონფლიქტებია, ორივე მიმართულებით აღსადგენია მინაწყლის მთლიანობა, რაც თავისთავად გულისხმობს საომარ მოქმედებებს, რაც უკრაინაში ცხელ სტადიაში უკვე მიმდინარეობს. ასე რომ, ნატოს უარის თქმისთვის საფუძველი აქვს, მაგრამ პუტინის მაინც უნდა, გადადგას ეს ნაბიჯები. ე. ი. მართო ჩვენთვის ნათქვამ უარში არ არის საქმე. პუტინს უნდა დასავლეთის მხრიდან

ანეული ხელების დანახვა. დასავლეთის დათანხმება მის წინადადებაზე.

– პუტინის ულტიმატუმის ფონზე, ვინღათ ხელუბანულ დასავლეთს?

– ძნელი სათქმელია, ზუსტად ისე, როგორც პუტინს უნდა ხელუბანული დასავლეთის დანახვა და ამისგან პოლიტიკური სარგებელის მიღება. პუტინს 2024 წელს აქვს არჩევნები და ამ არჩევნებზე სჭირდება დასავლეთის დამმარცხებლის იმიჯი. პრინციპში, თუ ისეთი რამე იქნება შეთავაზებული, რომელიც პუტინის საარჩევნო პატივოყვარეობას დააკმაყოფილებს, სავარაუდოა, რომ პუტინი გაჩერდება, იმიტომ რომ პუტინის ეკონომიკა სერიოზულ საომარ მოქმედებებს არ ეყოფა, ვერ გაქაჩავს. მაგრამ, ასევე, დასავლეთის ლიდერებსაც აქვთ თავმოყვარეობა, არ უნდათ ხელანეული დადგენ პუტინის წინაშე. თუკი დასავლეთის ქვეყნების საზოგადოებრივმა აზრმა იმპლავრა, რომ არ გაეაზრაზოთ რუსეთი – ჩვენ გათბობა გვინდაო, იქ შეიძლება დასავლეთმა, რომელიც თავის ამომრჩეველთან ანგარიშში დადებულია, ვიდრე რუსეთი, შეიძლება ეს საბაბი ხელზე დაიხვიოს და იმისათვის, რომ ცხოვრება არ გაირთულოს, იზოგოს ისეთი ფორმულირება, რომელიც რუსეთსაც დააკმაყოფილებს.

თამაზ ძარჩავა



თეთრი სახლი

პრეზიდენტი პაიდენი მალე გამოსცემს აღმასრულებელ ბრძანებას, რომელიც აკრძალავს ახალ ინვესტიციებს, ვაჭრობასა და დაფინანსებას ამერიკელი პირების მიერ უკრაინის დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში. ამის შესახებ თეთრი სახლის განცხადებაშია ნათქვამი.

თეთრი სახლი ასევე აღნიშნავს, რომ აღმასრულებელი ბრძანება ასევე უზრუნველყოფს სანქციების დანერგვას უფლებას ნებისმიერ პირზე, რომელიც გადაწყვეტს უკრაინის ამ რაიონებში ოპერირებას. სახელმწიფო დეპარტამენტი და ხაზინის დეპარტამენტი დამატებით დეტალურ უახლოეს მომავალში გაავრცელებენ.

გერმანია

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი, ანალენა ბერბოკი რუსეთს მოუწოდებს, გააუქმოს უკრაინის სეპარატისტული რეგიონების „დამოუკიდებლობის“ აღიარება.

„პრეზიდენტ პუტინის მიერ აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული თვითგამოცხადებული „სახალხო რესპუბლიკების“ აღიარება საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა და სერიოზულ დარტყმას აყენებს ყველა დიპლომატიურ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია მიმდინარე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და პოლიტიკური მოგვარებისკენ. ეს უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მორიგი დარღვევაა, რომელსაც გერმანია მკაცრად გამოხს, – ნათქვამია განცხადებაში.

დიდი ბრიტანეთი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტის მიერ აღმოსავლეთ უკრაინის სეპარატისტული რეგიონების აღიარება საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. **„აღმადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთი ცნობს დონეცკისა და ლუგანსკის სეპარატისტულ რესპუბლიკებს. ეს აშკარად არღვევს საერთაშორისო სამართალს. ეს არის უკრაინის სუვერენიტეტისა და მთლიანობის უხეში დარღვევა“**, – აღნიშნა ბორის ჯონსონმა.

საფრანგეთი

საფრანგეთის პრეზიდენტი, ემანუელ მაკრონი გამოხს რუსეთის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული რეგიონების აღიარების შესახებ.

„აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული რეგიონების აღიარებით, რუსეთი არღვევს თავის ვალდებულებებს და ძირს უთხრის უკრაინის სუვერენიტეტს. მე ვგმობ ამ გადაწყვეტილებას. მე მოვითხოვ გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომა და ევროპული სანქციები“, – განაცხადა ემანუელ მაკრონი.

იაპონია

იაპონიის ხელისუფლება აცხადებს, რომ მზად არის, შეუერთდეს აშშ-ისა და დიდი შვიდეულის სხვა ქვეყნების სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ, თუ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინაში შეჭრის განკარგულებას გასცემს. ამის შესახებ იაპონიის პრემიერ-მინისტრმა, აფუმიო კიშიდამ განაცხადა.

მან რუსეთის გადაწყვეტილებას, აღიაროს უკრაინის სეპარატისტული რეგიონები დამოუკიდებელ რესპუბლიკებად, მიუღებელი უწოდა და საერთაშორისო სამართლის დარღვევად შეაფასა. ფუმიო კიშიდამ ვლადიმერ პუტინს თავშეკავებისკენ მოუწოდა. მისი თქმით, იაპონია მზად არის, მკაცრი პასუხისთვის, რომელიც შესაძლოა, სანქციებს მოიცავდეს.



ლაო
ბონეზანი:

კუტინი კუთხეშია მიხეჯღეული, ეს მისტვის სუბსვანგია

წინა კვირის ყველაზე შთაბეჭადავი შეფასება



სჭირდება, უკრაინის ხელისუფლებიდან ვერაფერს გასცემს მსგავსი თვითმკვლელობის აქტის ბრძანებას.

ამასთან, მან სამ გარემოებაზე მიუთითა, თუ რატომ არ ესწრაფება პუტინი მიუხეხილ უსაფრთხოების კონფერენციას სხვა ლიდერების მსგავსად:

● „პირველი, რომ მას ქვეყნის უსაფრთხოება არ აღელვებს. რომ აღელვებდეს, ისაუბრებდა არა ნატოში უკრაინის განცხადებაზე, არამედ სად შეიძლება კონკრეტული რაკეტების განთავსება და სად არა. როგორც საბჭოთა კავშირმა მოილაპარაკა აშშ-სთან. დღეს მას მსგავს მოლაპარაკებებს სთავაზობენ, მაგრამ ამბობს „მეორეხარისხოვანი საკითხია“. ქვეყნის უსაფრთხოება მეორეხარისხოვანი ყოფილა;

● მეორე — არ მინდა ვანყენო, მაგრამ ვფიქრობ, ემინია ემინია კორონავირუსის. ხედავთ ხალხს როგორ ხვდება, ეს ხომ სამართლებრივია? თუ რუსი მეფეა, მეფეს მსგავსი ქვედა არ ეკადრება;

● მესამე — მან იცის, რომ ძალიან ცივი გარემო დახვდება, გვერდს კეთროვანივით აუვლიან“.

ადამიანთა უკრაინაში შექმნილ დაძაბულ ვითარებას, დონეცკსა და ლუგანსკში სეპარატისტების მიერ მოსახლეობის ევაკუაციისა და მობილიზაციის გამოცხადების თაობაზე ცნობებს რუსეთში მცხოვრები პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი და აქტივისტი ლეონიდ გონზმანი ესმინება და აღნიშნავს, რომ კრემლი ომის დაწყების მიზნებს დაჟინებულ ექვსს.

ამასთან, ის მიმდინარე მოვლენებს ტრაგედიას უწოდებს, რომელიც უკვე რვა წელია გრძელდება, „ჯოჯოხეთში აცხოვრებენ რა უდანაშაულო მოქალაქეებს“.

„ძალიან მეშინოდა, რომ ბავშვებს, რომლებიც ავტობუსებით როსტოვში გადაჰყავდათ, ცეცხლს გაუსწიდა. რა, შიშის რესპონსია? ამ ტიპის ადამიანებისთვის ბავშვების დახრცვა არაფერს ნიშნავს. მაღლობა ღმერთს, ეს ჯერ არ მომხდარა და მოსალოცი ამბავია. ცხადია, რაც ახლა ლუგანსკში და დონეცკში ხდება, ომისთვის მზადებაა რუსეთის მხრიდან, რათა გამართლდეს ჩვენი შეჭრა“.

მისი ხედვით, მნიშვნელოვანია, ადამიანებს ესმოდათ, რომ კრემლის რეალური გეოპოლიტიკური მიზანი არა ნატო და მასში უკრაინის განევრინებაა, რადგან ეს რუსეთს ხელს არაფერში უშლის და „რუსეთ-ნატოს საზღვრებზეც ყოველთვის სიმშვიდეა“, არამედ უკრაინა აღარ არსებობდეს როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

„ჩვენი ხელისუფლებისთვის უკრაინა ტერიტორიაა, რომელიც რუსი მეფეების ხელში უნდა დაბრუნდეს — ან რუსეთის ტერიტორიული ერთეულის სახით, ან უკიდურეს შემთხვევაში, იყოს ვასალური სახელმწიფო. სწორედ ამიტომ ვერ მიგვიყვანს შედეგამდე ჩვენი მოლაპარაკებები უკრაინასთან. წარმოიდგინეთ, მეზობელი გეუბნებათ, „მინდა, საკუთარი სახლიდან გადახვიდე და შენთან პრეტენზიები არ მექნებაო“, თქვენ კი ვერ გადადისხართ, რადგან ის თქვენი სახლია! იგივე ხდება ამ შემთხვევაშიც“.

მისი ანალიზის მიხედვით, ამჟამად ვლადიმერ პუტინი კუთხეშია მიმწყვედი და გამოსავალს ეძებს:

„სწორად ომები მოწინააღმდეგის უბატივცემლობის გამო იწყება, რაც არასწორია. გასვლათ, გენერალი გრაჩოვი პრეზიდენტ ელცინს არწმუნებდა, „ჩვენთვის ერთი საპარაშუტე პოლკის ძალით ავიღებო“, ხოლო ბრენფეს ავღანეთში შეჭრამდე არწმუნებდნენ გენერლები, „რუსი სალდათები როგორ ვერ დაამარცხებენ კაცებს „გრძელ შარვლებში“ — ამას მოგახდებოდა ამბობდნენ, რომელთაც საბოლოო ჯამში, საბჭოთა კავშირი დაანგრის. მოწინააღმდეგეს პატივს არ სცემენ და პუტინის დამოკიდებულება გამორჩევა მის ხარბულტიმატუში, ფიქრობდა რა რომ დასავლეთი ქუჩის ხულიგანივით შემინდებოდა, ის კი პუტინისთვის მოულოდნელად არ შემინდა და რა გააკეთოს? ომი დაიწყო? საშიშია, რადგან ეს არის გასაოცარი ომი, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში კარგს არაფერს მოუტანს

ჩვენს ქვეყანას, ხელისუფლებასაც — ჩვენი მოქალაქეები ჩანვებიან საფლავებში, დაბრუნდებიან ხეობრები, ირლვევა ეკონომიკა — ამას ელექტორატი პუტინს არ აბატიებს. ვარგი ვარიანტი არ არსებობს ჩვენთვის! არ დაიწყოს ომი და მოვინდინოთ გაიქცეს? იცით, პერსონალურ რეჟიმში ლიდერი მოწინავე ცხენზე უნდა იჯდეს. ის ისედაც დაძალებული თავის სტერილურ საფლავში: მთელი ქვეყანა და მსოფლიო იცინის, როდესაც ექვსმეტრიან დისტანციაზე მართავს შეხვედრებს. ახლა კი აქაც უნდა წაგას.

გასაგებია, რომ არსებობენ პროპაგანდისტები. ისინი მოსახლეობის ნაწილს დაარწმუნებენ, „პუტინმა ამერიკას აჯობაო“, მაგრამ არსებობს სხვა აუდიტორიაც — 1000-ჯერ უფრო მნიშვნელოვანი, რომელთაც ახლა სათანადოდ არ აფასებენ. ისინი პროპაგანდისტებს არ უსმენენ და ხედავენ, რომ ლიდერი შეტევაზე გადავიდა, მაგრამ სახეში უთავაზეს და უკან დაიხია ეს კი უკვე ლიდერი აღარაა. მისი ლეგიტიმაცია სწორედ იმაზე დგას, რომ „მაგარია“, „ვევლაფერს წვეტს“ და რომ მასზე უკეთ ვერაფერს შეძლებს, მაგრამ გამოდის, რომ არც მაგარია, ვერც ვერაფერს წვეტს — კუთხეშია მიმწყვედი იომოს — არ შეიძლება, არ იომოს, არც ეს შეიძლება. ეს პუტინისთვის ცუდგვანგია: რაც არ უნდა ქნას, რეალურად უარესს მიიღებს და ახლა რაც დონბასში ხდება, მცდელობაა, იპოვოს საბაბი ომისთვის, რომელიც ომს გაამართლებს. მაგრამ ვფიქრობ, მას არ დაუფერებენ. საცხებით ცხადია, რომ უკრაინას ეს არაფერში

ამერიკული დავაპირება: „რუსებს აქვთ სია, მოსაკლავების და დასაპატიმრებლების“

საბანტო AFP აქვეყნებს ინფორმაციას, რომ უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, რუსეთს აქვს სპეციალური სია პირების, რომლებიც ლიკვიდირებული უნდა იყვნენ და იმათიც, რომელთა დაკავება და ბანაკებში გადაყვანა უნდა მოხდეს.

სააგენტომ ეს ინფორმაცია გაეროსგან მიიღო. წერილში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ეს ინფორმაცია ამერიკული მხარისგან მიიღო, რომელიც თავის მხრივ სადაზვერვო მონაცემებს ეფუძნება. ნელ კროკერი, ამერიკის ელჩი გაეროს შენევის ოფისში, გაეროს აფრთხილებს, რომ რუსეთის უკრაინაში შეჭრის შემთხვევაში, მოსალოდნელია უკრაინაში ადამიანების დევნა, გატაცება, ნაგებობა, როგორც რელიგიური, ასევე ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

„შეერთებულ შტატებს აქვს სანდო ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ რუსი სამხედროები ქმნიან უკრაინელთა სიებს, რომლებიც სამხედრო ოკუპაციის შემდეგ უნდა მოკლან, ან ბანაკებში უნდა გადაგზავნონ.“ — წერია წერილში.

„ჩვენ ასევე გვაქვს სარწმუნო ინფორმაცია, რომ რუსული ძალები გამოიყენებენ სასიკვდილო ნაბიჯებს მშვიდობიანი პროტესტების დასაშლელად, ისინი შევლენ პირდაპირ კონფროტაციაში მშვიდობიან დემონსტრანტებთან“, — წერია წერილში, რომელიც გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესმა კომისარმა, მიშელ ბაჩელეტმა მიიღო. წერილს ხელს აწერს ამერიკის ელჩი გაეროს შენევის ოფისში, ნელ კროკერი. მოსკოვი ამ დრომდე უარყოფს, რომ უკრაინაში შეჭრას გეგმავს ან გეგმავდა და დასავლეთში მიმდინარე საუბრებს „ისტერიას“ უწოდებს. ამ დრომდე რუსეთს უკრაინის საზღვართან 190 000-ზე მეტი სამხედრო ჰყავს მობილიზებული.



დასავლეთის „ისტერია თუ... სინამდვილე“?



ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი, რომელიც ცენტრის მკვლევარი კახა ბოლოლაშვილი სოციალურ ქსელში წერს:

„რამდენჯერ გამიგია სტალინი გენიოსი იყო, მაგრამ ბოროტი გენიაო. პიტლერზე უთქვამთ დაახლოებით იგივე. ერთიც და მეორეც ის ხალხია, რომლებიც ტყუილს, პროვოკაციას, დემოგოგიას, გადაბრალებას, ცრუმონაშრომას და სხვა მრავალ ამდაგვარ სერებს მიმართავენ თავიანთი „დიადი“ მიზნების მისაღწევად. მათი გაგებით, ამ ყველაფერს „აპრავებდა“ რეალპოლიტიკისთვის დამახასიათებელი თეზა, რომელიც პირველად, მგონი, ნიკოლო მაკიაველისთან ამოვიკითხე, მერე კი დაახლოებით იგივე მორგენთაუს სტატიის შიშვენიერად აღწერა. „პოლიტიკური ქმედების მორალურობა იზომება პოლიტიკური შედეგით.“

ჩემი აზრით ზოგ შემთხვევაში თავად საშუალებაა მიზანი და სწორედ ასეთ შემთხვევასთან

კახა ბოლოლაშვილი: მიზანი აბარტლავს საშუალებას

პოლიტიკური ქმედების მორალურობა იზომება პოლიტიკური შედეგით

გვაქვს ახლა საქმე. სტალინი და პიტლერი შესაძლოა ინფანტილურ ბერძნულუნებად გვეჩვენოს, როცა ნამდვილ ბოროტებასთან გვაქვს შეხება. სტალინსა და პიტლერს იდეა ამოძრავებდათ, ბოროტი და მცდარი, მაგრამ მაინც იდეა. ისინი თავიანთ ქმედებას ამართლებდნენ მიზნით, რომელიც სიცოცხლეზე მეტად უღირდათ. მაგრამ, რა მიზანი ამოძრავებს პუტინს? ნუთუ მართლა საბჭოთა კავშირის აღდგენა, ან დონბასის ანექსია რუსეთისთვის? ხელისუფლებიან სიცოცხლის ბოლომდე შენარჩუნება? ამერიკის მუსულებზე დაიქცება? მგონი ეს ყველაფერი არ არის საკმარისი მიზეზი, იმისთვის, რომ მსოფლიო ომი გააჩალო. მგონია, რომ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა მთავარი არა მიზანია, არამედ „საშუალება“, რომლითაც ამ მიზნისკენ მიდიხარ. და ეს სიცრუის გამეფების, უნდობლობის დათესვის, სიძულვილის გამრავლების, ზიზისა და სულიერი გარყვნილების დამკვიდრების მეთოდებია, რომლითაც ის ომობს.

ახლა ვხვდებით, რომ რაკეტებითა და თვითმფრინავებით დაბომბვა არ არის ყველაზე დიდი საშინელება, რომლითაც ის ეშუქრება თავისუფალ ერებს. ეს არის სიმართლის გამრუდება, სიცრუის ნორმად მიღება, ის რაც მან რუსეთის მოსახლეობის 65%-ს გაუკეთა, რომელიც ახლა ამართლებს უკრაინ-

აში შეჭრას. უფრო მეტად საკუთარ ხალხს ებრძვის პუტინი, ვიდრე უკრაინას ან ნატოს, რადგან სწორედ მას უზნელებს თვალებს, უმღერებს გონებას და ართმებს სულიერ ტერორს უნარს. ჩვენ მასზე ზედმეტად კარგად ვფიქრობთ, როცა ექსპანსიონიზმში ან ტერიტორიების მითვისების სურვილში ვადაზნაშაულებთ. მისი ამოცანა უფრო მასშტაბურია — ის ცხადია გაიფეხა დიდი ხნით, დაახლოებით ისე, როგორც ეს საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ მოხდა. ტერიტორია ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია. მთავარია, იქ სადღაც ის ზეობს, გამრუდებული აზროვნება, ფასეულობები და რეალობის აღქმა სუფევდეს. ასეთი ბოროტება არ შეიძლება იყოს გენიალური, არც ნიჭიერი. ამიტომაც, რომ ასე უნიჭოდაა დადგმული მისი ყველა პროექტი — საქართველოში შემოჭრა და ოკუპაცია, ყირიმის ანექსია, დონბასის „აჯანყება“, ახლა ეს პროვოკაციები დონბასში. ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაქარგი. მაგრამ, ბევრი ამას გენიალურ ტაქტიკურ გამარჯვებებად ნათლავს. და აი, მას უკვე ჰყავს მრავალი თავყანისმცემელი, რომელიც ანთებული თვალებით მიშტერება თავხედურ ქმედებას და ვერც კი ამჩნევს რომ უნიჭოდ დადგმული ფილმის „მასლოვას“ დასმგავსებია, რომელსაც საბჭოთა კავშირში დღემდე სამ მინუთად ქირობდნენ“.

ეროვნული თანხმობა - როგორც იქნა საქართველო!



მნიშვნელოვანი მეთაურების ხელმოწერები იყო და ამაყად განაცხადა - **მე თქვენ ვიყავით მომხრეები!**

საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის მიერ წამოყენებული „ეროვნული თანხმობის“ საკითხი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე რაიმე აქტი, ან რაიმე თუნდაც მნიშვნელოვანი წინადადება.

ეროვნული თანხმობის საკითხი არის იდეა.

დაიხ, სწორედ ეს იდეა და მინდა ვთქვა, რომ სანამ ათონელზე მდებარე რეზიდენციაში უშუალოდ არ ჩავერთე ამ მეტად მგრძობიარე საკითხის განხილვაში, გარკვეულწილად სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი.

თუ პოტენციურ ოპონენტებს გაქვთ ნახის ფილმი „გლადიატორი“ იქ კონი ნილსენის გმირი ამბობს ფრაზას - **რომი იყო იდეა!!!**

იდეა **საქართველოც** იყო და დაიკარგა. საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი აცოცხლებს **იდეა საქართველოს**.

ვილაც პოლიტიკანები ცდილობენ ეს უაღრესად მნიშვნელოვანი რამ „გარიგება-მორიგების“ თემად აქციონ და ამაში ლომის წილი ენ. კრიტიკულ და გაუნათლებელ მედიას უკავია.

არა, „ქვირფასებო“, არ გამოვა ემ საქმე!

თქვენი და თქვენი მედიის ბარიგულ სულზე არ დავა ეს მართლაც საშვილიშვილო საქმე.

იქნება თანხმობა, აუცილებლად იქნება და ეს იქნება ხალხის, ერის თანხმობა.

ხალხის და ერის და არა ბოგანო პოლიტიკანების ბაზრული ვაჭრობა.

ამის თქმის საფუძველს პირველ რიგში პრეზიდენტის მიდგომა მაძლევს და შემდეგ ის გუნდი, რომელიც უზარმაზარ სამუშაოს ასრულებს, რათა ერთ ანსამბლში მოიყვანოს ის უამრავი თემა, რომლებიც თითქმის ყველა მიმართულებით არის გაფანტული. გამოკვეთოს ის პრიორიტეტები, რომლებზეც მეტად მგრძობიარეა და მოსახლეობის ფართო ფენებამდე მიიტანოს.

სწორედ ეს დავინახე იმ მორიგი სამუშაო პროცესის დროს. დავინახე და მოვისმინე ის უამრავი პრობლემა, რომლებიც თითქოსდა მივიწყებულია, მაგრამ ფეს-საცმელში ჩაგდებული კენჭები ყველას გვანახებს და, რაც მთავარია, დავინახე სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ერთიანობა. დავინახე სურვილი და ნება, ამ იდეამ ხორცი შეისხას და რეალობად იქცეს.

მიმართულებები კი უამრავია. დანყებული ენ. პოლიტიკანური (დაიხ, სწორედ და „პოლიტიკანური“ და არა „პოლიტიკური“) ცხოვრებიდან, დამთავრებული - უკრაინაში განვითარებული იმ მოვლენებიდან, რაც საქართველოზე პირდაპირ აისახება.

უკრაინაში განვითარებული მოვლენები კალიან ჰაგას 1938 წლის 29 სექტემბერს მიუხედავად განვითარებულ მოვლენას, როცა დასავლეთი ფაშტიკობრივად დაუწვა პიტლერს და ისა რომ ჩინოსლოვაკიის არც ერთი წარმომადგენელი კონფირმაციას არ დაასრავს, ის ულაგაზისი და არც თუ ისა სუსტი ძვირფასი, ლანგარა და დაბნული მხარეთა ვაჭრისტარ გირანინას.

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთმა ლიდერმა იან მასარიკმა, რომელიც კონფერენციის დასრულებას მისაღებში ელოდა, საკმაოდ ხისტი განცხადება გააკეთა, რომელშიც პირდაპირ გააფრთხილა ინგლისის და საფრანგეთის მეთაურები, რომ პიტლერი არ დაკმაყოფილებოდა ჩეხოსლოვაკიით და მათაც დიდ პრობლემებს შეუქმნიდა.

ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლონდონში სახალხოდ ააფრიალა ფურცელი, რომელზეც მაშინდელი ევროპის სახელ-

იმ ფურცლის ლეგიტიმაციამ მხოლოდ 11 თვე გაძლო და 1939 წლის 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო.

დასავლეთი დღესაც იმეორებს იმ დანაშაულს (დაიხ, დანაშაულს და არა შეცდომას) რაც მაშინ ჩაიდინეს.

მყიფე მშვიდობის შენარჩუნების მიზნით, მეძავი ქალივით უწევდა რუსეთს და პირდაპირ აცხადებს, რომ მის ამბიციებს არ დაემუქრება „სანამ ისინი თანხმობა არ იქნება“ (გერმანიის კანცლერის ფრაზა).

პუტინი ამ იმპოტენტური - „უკმაყოფილებაში“ გადასული „შემფოთების“ ფონზე ახალ ისტორიას წერს და არა სამხედრო ძალით, არამედ მესხეთე კოლონად ქვეული, დასავლეთისგან წახალისებული კორუფციის მეშვეობით საკუთარ ამბიციებს იკმაყოფილებს.

ჩვენ კი გვიჩვენებდა და ბოცო ნიკოლაურის ანალიზის მომლოდინე და გირჩი ზურაბას შიშველი უკანალის შემყურე ხალხს ლაპარაკის უფლებას ვაძლევთ.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივა, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი ჩვენი საგარეო კურსი უნდა იყოს.

ის საგარეო კურსი, რომელიც არა რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის გამოკითხვებისა, თუ კვლევების შედეგია, არამედ ქართველი ერის საყოველთაო შეთანხმებით განსაზღვრული გზა.

რაც შეეხება ენ. პოლიტიკანურ ცხოვრებას, ვიტყვი რომ ქართველი პოლიტიკანები თავიანთი უთავბოლო ცხოვრებით აშკარად ბოჭების წარმომადგენლები გახდნენ.

ბოჯაბა - ბურჟუაზიულ საზოგადოებაში - მსახიობები, მუსიკოსები, მხატვრები, მწერლები, რომელთაც არა აქვთ არსებობისთვის საჭირო მუდმივი შემოსავალი და უთავბოლო ცხოვრებას ეწევიან (უცხო სიტყვათა განმარტებითი ლექსიკონი).

აბა, რით არ არიან ბოჭების, ანუ უთავბოლო ცხოვრების წესის მიმდევარნი გუბაზა სანიკიძე, დავით ჭიჭინაძე, არმაზ ახვლედიანი და სხვანი, რომლებსაც ცხოვრებაში ერთი, თუნდაც ერთი ისეთი პოლიტიკური ნაბიჯიც არ გადაუდგამთ, რომელიც ქვეყნისთვის სასარგებლო იყო (თუ ვინმე დამისახელებს, ბოდიშს მოვიხდით. პარლამენტში ძილი, ამბიციური განცხადებები და აშკარა მიკერძოება არ ითვლება).


დაირქვეს პოლიტიკოსები, ეწვიან უზნეო ცხოვრებას, ხალხი იცნობს და რეალური საქმის გამკეთებლები არ არიან.

რაც შეეხება ბოჭების ნამდვილ წარმომადგენლებს, მათ თავშესაფარი ტელევიზიებში იპოვეს. შექმნილ არაფერს ქმნიან, სამაგიეროდ დადიან სხვადასხვა შოუებში, ყვებიან თავიანთი უთავბოლო ცხოვრების შესახებ და ამით არსებობენ.

ასე რომ, საქართველო პირველი ქვეყანაა, სადაც პოლიტიკოსებმა ბოჭების აბორიგენები შეავიწროვეს და თუ ასე გაგრძელდა, საბოლოოდ საერთოდ გააძევენ იმ ბუდიდან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა.

წერილს კი ჩემთვის უფროსად მინდა, მოწოდებით დავამთავრებ: მე ვიმხრობი ეროვნული თანხმობის იდეას!

ბიბა ბაბრიძე



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკადემიის ეროვნული აკადემიის განცხადება

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია აკადემიებს იმ პირთა სიას, რომლებიც აკადემიკოსობის კანდიდატებად წარმოადგინეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებმა, სამეცნიერო დაწესებულებებმა და სახელმწიფო უმაღლესმა სასწავლებლებმა:

აკადემიკოსობის კანდიდატები	სპეციალობა, ვაკანსია
ბიოლოგიურ მეცნიერებათა განყოფილება	
	მოლეკულური ბიოლოგია - 1 ვაკანსია
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თენგიზ ზაალიშვილი	
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება	
	ბუნებრივ ნაერთთა ქიმია - 1 ვაკანსია
ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი რამაზ გაბოჯიძე	
ქიმიის დოქტორი იმედა რუხაშვილი	
საინჟინრო მეცნიერებათა და ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილება	
	ინფორმატიკა - 1 ვაკანსია
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ქართლოს ყაჭიაშვილი	
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება	
	საქართველოს ეკონომიკა - 1 ვაკანსია
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი მიხეილ ჯიბუტი	
	სამართალმცოდნეობა - 1 ვაკანსია
სამართლის დოქტორი მინდია უგრეხელიძე	
ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილება	
	საქართველოს სამხედრო ხელოვნება და არქიტექტურა - 1 ვაკანსია
ისტორიის დოქტორი ჯაბა სამუშია	
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილება	
	ჰიდრომელიორაცია - 1 ვაკანსია
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი გივი გაგარდაშვილი	
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი დავით გუბელაძე	

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

პრეზიდენტის ადმინისტრაცია: „გრიფით საიდუმლო“ დოკუმენტების გასაიდუმლოების შესაძლებლობას მოკლებული ვართ!



- ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ღია წერილს.

როგორც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსმა ნათია სულავამ აღნიშნა, თუკი ექსპრეზიდენტს რაიმე სახის პრეტენზია აქვს ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით, მას შეუძლია პირადად მიმართოს საქართველოს მთავრობასა და მის ადმინისტრაციას, იმისთვის, რომ ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია, რადგან ამ დოკუმენტებზე წვდომა, სწორედ მთავრობის ადმინისტრაციას აქვს.

„რატომ არ მოხდა დღემდე საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2013 წელს გამოცემული გრიფით საიდუმლო დოკუმენტების გასაიდუმლოება. საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემული „გრიფით საიდუმლო“ დოკუმენტების საქმის წარმოებას ახორციელებდა საქართველოს უშიშროების საბჭოს აპარატი, რომელიც განხორციელდა 2018 წელს. ამის შემდეგ, უშიშროების საბჭოს სამართალმემკვიდრედ განისაზღვრა საქართველოს მთავრობა, შესაბამისად, ყველა დოკუმენტი გადაეგზავნა მთავრობის ადმინისტრაციას, რომელსაც 2019 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეხდინა ამ დოკუმენტების კლასიფიკაცია, დაარქივება და სხვადასხვა ლონისიძიება. საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ 2019-21 წლებში რამდენჯერმე მიმართა მთავრობის ადმინისტრაციას, რომ გადმოეცოდა აღნიშნული „გრიფით საიდუმლო“ დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტები დღემდე არ მიუღია საქართველოს პრეზიდენტს, შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ამ დოკუმენტებზე და მათ გასაიდუმლოებაზე“ - განაცხადა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

მიმე წარსული სივნიგლისთვის...



კალაღობის უკიდვანო სხენა

არ შვიცდები, თუ ვიტყვი: ადამიანებმა დაკარგეს ყველაზე მაღალი რელიგია — სიყვარული. გასცე სიყვარული — ეს დიდი ნიჭი, დიდი მადლია. ძალაუფლებისადმი სწრაფით არიან დაავადებული ადამიანები, ბატონობის ღინით შეპყრობილი. ალბათ, გახსოვთ ერთ-ერთი სცენა „რიჩარდიდან“: რობერტ სტურუას აფანსცენაზე გამოჰყავს ბრბო, მათხოვრები, ხელშეპყრულნი, გვირგვინით. რა კარგად ამბობს ნიჭი: „ისინი ტახტისაკენ ისწრაფვიან. ესაა მათი შემლილობა. მცოცავი მიამუნები, სიმყრალით საფსეა მათი კრებული“.

გაჩნდა რა ადამიანი, თვალი შეავლო სამყაროს და მოისურვა, გამხდარიყო მბრძანებელი ყოველივე არსებული-სა. აამღვრია წყლები, დაიწყო გადათხრა მიწისა, ძიება სიმდიდრისა, არ დაინდო მიწისა და ცის ბინადარი; გადაწყვიტა, შეეძინებოდა მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს. შეეზრძოლა სინათლეს, შეეცადა, განეგრცო სიბნელე, სიბნელე შურისა და ბოღმისა, შეუღტია თავის ჯიშს — ადამიანს; დაიწყო სამყაროში კაცკვლა, — ომები.

დღევანდელი მსოფლიო თავისი გლობალური საშინელებებით, ომებით, იმპერიალისტური პოლიტიკის რადიკალური აღზევებით საფრთხეს უქმნის დემოკრატიულ ფასეულობებს. ალბერტ შეიფერი, იხილადა რა პროგრესის საუთხს ისტორიაში, მიიწვედა, რომ კაცობრიობის პროგრესის მისაღწევად აუცილებელია პიროვნების მორალური სრულყოფა, რომ თვით კულტურის მთავარ შინაარსს უნდა შეადგენდეს მაღალი მორალური პრინციპები, რომ კულტურა არის ოპტიმალური მსოფლმხედველობისა და ეთიკის ურთიერთმოქმედების შედეგი; პოლიტიკის არაეთიკურობამ გადააქცია მსოფლიო ძალადობის უკიდვანო სცენად.

ლონდა მდივანი

მის მბაგალითზე არაპროტი მამობა პლიზრდება

დღეს ჩვენი დროის გმირის, არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების დღეა. მთელ ჩვენს საზოგადოებასთან ერთად, პატივს მივაცემ მის ნათელ ხსოვნას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ლარიბაშვილი სოციალურ ქსელში წერს. როგორც მთავრობის მეთაური აღნიშნავს, ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებაში დამნაშავე ყველა პირი.

„სამშობლოსათვის მისი თავდადება ის მაგალითია, რომელზეც არაერთი თაობა აღიზრდება. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარდგეს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებაში დამნაშავე ყველა პირი“, — წერს ირაკლი ლარიბაშვილი.



„თბილისის დამცველთა“ დღე

განთავსდა მანიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის წევრებმა „თბილისის დამცველთა“ დღე ტრადიციული ლაშქრობით აღნიშნეს.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, გენერალ მანიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის წარმომადგენლები და სამხედრო საქმით დაინტერესებული ახალგაზრდები კოვკორ-ტაბახმელას ბრძოლის ველზე, იუნკერ შალვა ერისთავის დაღუპვის ადგილას შეიკრიბნენ. ღონისძიების მონაწილეებმა მოლაშქრეებს 1921 წლის ბრძოლის ისტორია გააცნეს და დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად მათი ისტორია გაიხსენეს.

მოლაშქრეებმა მეოთხე სანგარიც მონახულეს, სადაც ოთხი წლის წინ სანგრიდან ამოღებული არტიფაქტების გამოფენა მოეწყო.

ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ირაკლი ჭიჭინაძე, და ეროვნული გვარდიის წარმომადგენელი, ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ნიჟუა დაესწრნენ.



ლაშქრობა „თბილისის დამცველთა“ დღე გენერალ მანიაშვილის სახელობის ახალგაზრდული ლეგიონის ორგანიზებით გაიმართა და არმიისა და სახალხო გვარდიის იმ მებრძოლებს მიეძღვნა, რომლებიც 1921 წლის თებერვალში განვითარებული მოვლენების დროს წითელი არმიის წინააღმდეგ გამიჯნულად იბრძოდნენ.

სამხედრო მოსამსახურეები და იუნკერები ოკუპაციის მუზეუმს ესტუმრნენ



„ოკუპაციის კვირეულთან დაკავშირებით, საქართველოს თავდაცვის ძალების მეოთხე ქვეითი ბრიგადის 43-ე ქვეითი ბატალიონის სამხედრო მოსამსახურეები და ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერები სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში იმყოფებოდნენ. პირადი შემადგენლობა გაეცნო ოკუპაციის მუზეუმს, სადაც წარმოდგენილია საქართველოს უახლესი (1918-1921 წლები) ისტორიის ამსახველი დოკუმენტები, ხელნაწერები, აღნიშნული პერიოდის მოღვაწეების ბიოგრაფიები და სხვა.

ეროვნულ მუზეუმში სტუმრობისას სამხედროებმა და იუნკერებმა „ოქროს ფონდში“ დაცული უნიკალური ექსპონატები და ქართული იარაღ-საჭურვლის ექსპოზიცია დაათვალიერეს.

„სამხედროების ეროვნულ მუზეუმში სტუმრობა მიზნად ცნობიერების ამაღლებასა და პატრიოტული სულისკვეთების გაღრმავებას ისახავს. სამხედრო მოსამსახურეებისათვის მსგავსი საგანმანათლებლო-შემცნებითი ღონისძიება თავდაცვის სამინისტროსა და ეროვნულ მუზეუმს შორის თანამშრომლობის ფარგლებში არაერთხელ განხორციელდა და მომავალშიც გაგრძელდება“, — აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში.



ხარისხიანი განათლება — არაპროტიულენოვან მოსახლეობას

საპარტნიორო პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიბაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების მინისტრ ემინ ამრულაევს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი ორ ქვეყანას შორის არსებულ სტრატეგიულ პარტნიორობას შეეხო. განიხილეს განათლებისა და მეცნიერების სფეროებში თანამშრომლობის გაფართოების საკითხები.

აღინიშნა, რომ საქართველოს განათლების სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის განათლების სამინისტროს შორის განათლების სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა ხელს შეუწყობს ორი ქვეყნის აკადემიურ წრეებს, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ სასწავლებლებს შორის კავშირების გამყარებას, აგრეთვე, ქართული და აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სწავლებას შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო საფეხურზე.

ხაზი გაესვა, რომ ქართული მხარე კვლავ გააგრძელებს მუშაობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების, ასევე საქართველოს აზერბაიჯანულენოვანი სკოლებისა და აზერბაიჯანის ქართულენოვანი სკოლების სახელმძღვანელოების მიმართულებით.

აღინიშნა, რომ საქართველოს მთავრობა რჩება ერთგული გაზარდოს ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა და გააუმჯობესოს სახელმწიფო ენის ცოდნის დონე აზერბაიჯანელი სტუდენტებისთვის, რაც გადამწყვეტია მათი ინტეგრაციისა და დემოკრატიული განვითარების პროცესში სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი მიხეილ ჩხენკელი და აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფაიკ გულიევი ესწრებოდნენ.

საპარტნიორო დელეგაცია ჩახეთში იმყოფება

საპარტნიორო საპარტნიორო დელეგაცია, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, ნიკოლოზ სამხარაძის ხელმძღვანელობით, ოფიციალური ვიზიტით ჩახეთის რესპუბლიკაში იმყოფება. ვიზიტის პირველ დღეს შეხვედრები გაიმართა ჩახეთის სენატის და დეპუტატთა პალატის ევროკავშირის საქმეთა კომიტეტის ხელმძღვანელობასთან, სადაც ორმხრივი ურთიერთობების განვითარებაზე და საპარტნიორო კავშირების განმტკიცებაზე ისაუბრეს.

საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა რეგიონული უსაფრთხოების გარემო. დელეგაციის წევრებმა ჩხეთის კოლეგებს დეტალური ინფორმაცია მიიწოდეს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რუსეთის ანექსიური პოლიტიკაზე, ასევე, გაუზიარეს შედეგები ზოგადად შავი ზღვის რეგიონში და უკრაინაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით.



მხარეებმა ისაუბრეს საქართველოს ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაციაზე. ჩახეთის საპარტნიორო დელეგაცია საქართველოს სენატის თავმჯდომარის ხელმძღვანელობით მიმდინარე წლის მაისში ეწვევა.

ოთარ ჩხიძე გიორგი ლეონიძის „ნატურის ხეზე“ წერდა, „გაღარბდებოდა ქართული პროზა უამრავი გენიოსი.“

ქართული ფოლკლორისა და გაღარბდებოდა შედეგის - „გარდავედ, მოსე!“ უთარგმნელობით, თუმცე ქართული მითხველი დიხხე განმეზრეულია ფოლკლორის სხვა შედეგების (და ფოლკლორის ყოველი ტექსტი შედეგია!) კონგენიალურ თარგმანთა კითხვის გენიოსებით. „სული რომ ამომდიოდა“, „ავგისტოს ნათელი“, „დროშები მტვერში“, „ველური პალმები“, „ნეშტის შემთხვევები“, „ვარდი ემილისათვის“, „ცეცხლისწამილებელი“, „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან (საუბრები)“ იმ გენიალურ მხატვრულ ტექსტთა, თუ ასევე მრწყინვალე პუბლიცისტური ნარატივების არასრული ჩამონათვალია, რომლებიც ზურვილაძის, ზაზა ჭილაძის, მედეა ზაალიშვილის, ანა რატიანის, პაატა და როსტომ ჩხეიძეების ძალისხმევით, ქართული მითხველისათვის არა მხოლოდ ხელმისაწვდომია, უსაყვარლეს საკითხავადაც ქცეულა.

„გარდავედ, მოსემდე“ იყო „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ - ფოლკლორის დილოგების პაატა და როსტომ ჩხეიძეებისეული თარგმანი - ასევე უმნიშვნელოვანესი შენაძინი ქართული მთარგმნელობითი სივრცისა. 1999 წელს ოთარ ჩხიძის რედაქტორობით გამოცემული სამავილო წიგნი 1984 წელს თარგმნილი „საუბრების“ გავრცობილ და შევსებულ გამოცემას წარმოადგენდა.

კრებულს ახლდა როსტომ ჩხიძის ესეი „ფოლკლორის ჩიბუხი“, საინტერესო და მოულოდნელი რაკურსით წარმომჩნეი მეოცე საუკუნის გამორჩეული მოაზროვნისა, ფოლკლორის სტაინბეკისეული აზრისით შთაგონებული.

როსტომ ჩხეიძისეული ესეის კითხვისას გული გწყდება, რომ სტაინბეკის საქართველოში სტუმრობისას „საწყალი ბილი ფოლკლორი“ (სტაინბეკისეული კონსტრუქცია) მხოლოდ ენის მცოდნე თითო-ორთაა განდობილს აქვს წაკითხული, და მერამდენედ იაზრებ, მართლაც რა საყოდავი იყო დედამიწის მეექვსედე გედაჭიმული იმპერია, ფოლკლორის შემოქმედებისთვისაც რომ „რკინის ფარდა“ ჩამოეთარებინა, ვიდრე შეეძლო. საბჭოეთის დაისხევი კი „მოულოდნელი ამბავი“ იყო ჩხეიძეების მიერ თარგმნილ ესეებში გამოლანდული პორტრეტი ამერიკის (ზოგადად, მსოფლიოს) ერთი უპირველესი გონთამწყრობლისა.

უნივერსუმის ფოლკლორისეული მოდელი ტრადიციულიც არის და უაღრესად ინდივიდუალისტურიც. იაპონიაში სტუმრობისას უთქვამს, „ადამიანის უკვდავება ისაა, რომ შეწყურებს ტრადიციას, რომელსაც ვერ მოერევა, მაგრამ ცდილობს, რაღაც მოუხერხოს.“

იაპონიაშივე უკითხავთ, „პიროვნება ქრება. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ გაღარბება, თუ რომელიმე ჯგუფს მიეკუთვნება.“

მწერალს სჯეროდა, რომ „ადამიანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც მის გარშემო ხდება.“

ნაგანოს სემინარზე დაუბუტებია, რომ „მესამე უკვე მზის ჩანასახია“ (მდრ. ვალაკტიონ ტამიძის „ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩადვა ჩვენ შორის“).

ფოლკლორი მაქსიმალისტია, იურიდიულ კანონებზე მალა მწიფრევი პრინციპებს, გონისმიერ იმპერატივებს აყენებს: „გონებას თუ კანონი სჭირდება, მამ გონება არცა ყოფილა“ (ვალაკტიონთან ვკითხულობთ - „ყველა რომ ჩემიანი იყოს, მილიციელი საჭირო არ იქნებოდა“).

საკუთარ სივრცესაც მოხაზავს ესეი-საუბრებში: „სართორის“ რომ ვწერდი, მიხვდი, რომ ჩემს მხარეზე ღირდა წერა და, რამდენიც უნდა მეწერა, ვერ ამოეწურავდი... უნდა ამერჩია ერთი ქვეყანა და იქ იმდენი ხალხი დამესახლებინა, საწერი არ შემომყოფოდა... ამით თავიდან ამეცხლებინა დროის პრობლემა.“

ერთგვარი გულისწყვეტის სურნელს დაიკრავს საყვარელი სამხრეთის ფოლკლორისეული აზრისიცი: „გავრცელებული სურათი სამხრეთისაა გახლავთ მაგნოლიები, კრიონოლინი, მერძელი პორტრეტი და სხვა ამგვარი რომ, რაც მართლაც იყო, ოღონდ - სამხრეთის განშემო და არა შიგნით, დაბურულ ტყეში.“


საკუთარი ქვეყნის, მისი „სრული“ ლანდშაფტისა თუ ცალკეული პროვინციის „შიგნიდან“ დანახვას ფოლკლორის გული და გონება სჭირდება.

„იოკნაპატოფას ოლქი არც ისეთი რთულია, როგორც „ემფაია სთვით ბილდინგი“, ესეც სინანულით აღუნიშნავს, როცა სტილის სირთულე შესწუწუნებს.

ფოლკლორისეული მაქსიმა: „მწერალი არ განსჯის, ის თანადგმობს.“ ფოლკლორისათვის „მარცხიე რამდენი და მშვენიერია, თუ მრწყინვალე მარცხია.“ იაპონიაში უთქვამს: „მარცხიე ყველაფერს მირჩენია. ხელი მოჰკიდო იმას, რასაც ვერა სძლევი, ვერც კი იოცნებებ, მაგრამ მაინც სცადო და დამარცხდე, მერე კვლავაც სცადო - ამას ვეძახი წარმატებას“ - თითქოს პირდაპირი ციტატაა მართლმადიდებელი, ქრესტომათიული ფრაზისა. ფოლკლორსაც სწამს, რომ „ცუდათ... არ ჩაივლის ეს განწირულის სულის-ვეფთება.“

ყველაზე მრწყინვალე მარცხი (ტომა) ვულფისაა, მერე - ჩემი, მერე - დოს პასოსის, მერე - ჰემინგუეისა, ამერიკული ლიტერატურის მაგალითზეა კონსტრუქციული, შემდეგ დაკონკრეტებულია, ჩემი საუკეთესო მარცხი „ხმაური და მძინვარება“, ჰემინგუეისეული - „მოხუცი და ზღვაო.“

ამერიკული ლიტერატურის მესაძირკველეთა შესახებაც საინტერესო აზრს გამოთქვამს - ეს „შიგნიდან“ და არა „გარშემო“ დანახული ლიტერატურაა, „შოთორნი, ლონგფელი სულით ისევე ევროპაში, ატლანტიკის მიღმა იყვნენ... მარც ტვენის იყო პირველი ჯემმანიტად ამერიკელი მწერალი, ამერიკული ლიტერატურის მამაო.“



იოკნაპატოფას ოლქის ოქროს ღიბნთაბანი

„გარდავედ, მოსე“ - მთარგმნელობითი ხელოვნების ნიმუში



მაქსიმალისტი, პერფექციონიზმი აჯერებს მშვენიერ ნატურას: „ერთი წიგნი საჭირო, ერთი მშვენიერი წიგნი“... ამ ერთი მშვენიერი წიგნის შესანიშნავი პასაჟიყაა და თვითმემარი მრწყინვალე რომანიც „გარდავედ, მოსე“, რომლის ერთი უმესანიშნავესი ეპიზოდი მანამდეც წამეკითხა - „შავი პანტალონი“, არცთუ დიდი ხნის წინათ რომ დაიბეჭდა „მწვანეყავილაში“. უკანასკნელი ტექსტი იყო ნამდვილი კულტურული შოკი, ისეთივე მძაფრი, როგორც ოდესღაც ჯაკომო ლეონარდის ლექსით „სიყვარული და სიკვდილი“ მოგვრილი, მით უფრო, რომ ფოლკლორის თემას დაურთავს რასიზმის ომერტონსაც და ისევე ტრავიკულ ამბავს წარმოუდგენლად გაამაფრებს.

არ გავიმეორებთ შესანიშნავ მოსაზრებებს, წიგნისთვის დართულ ტევად, დიდებულ ესეიდ წარმოდგენილ ბოლოსიტყვაობაში რომ სთავაზობენ მკითხველს ჩვენი ეპოქის გამორჩეული კულტურტრეგერები - პაატა და როსტომ ჩხეიძეები. ერთადერთ ფრაზას დავიმორწმებთ, რომ მაქსიმალისთა ოჯახის გენეალოგია, მთარგმნელ-ესეისტთა უბუტესი დაკვირვებით, „ყველაზე ჩახლართული საოჯახო ხეა იოკნაპატოფას ოლქში, რადგან თუმცე თხრობა 1859-1940 წლებში იშლება, დოკუმენტებს და დილოგებს ანტიკურ ეპოქამდე, მეტიც, მიბლოურ ედემამდე მიყვარათ... რომანი ფოლკლორისეული ძველი ალექსის ვარიანტიაო.“

ტექსტის სათაურდაც დიდებულ აგტონს წმინდა წერილის იქნებ ყველაზე დრამატული ფრაზა გააქვს: „ჩადი ძირს, ქვემოთ, ხალხში, მოსე!“ - რაც ქართულ თარგმანში, მცხეთური ხელნაწერიდან ნახესებ ფრაზაში, იქნებ, უფრო დრამატულად და ამალღებულადაც უდრედეს: „გარდავედ, მოსე!“ (ტექსტის კითხვისას გამუდმებით მაგონდებოდა კონსტანტი-

ნე გამსახურდიას დიდებული ესეი - „ილია ჭავჭავაძე“, რომელშიც, ქართველთა უგვირგვინო მეფის სულიერი აზრისის მოხაზვისას, „დიდ ანალოგოსს“ მწერალი სწორედ მოსე წინასწარმეტყველთან დაძმნის: „ილია-მოსე! აქ არის გზაბნეული ერის ვულკანურ მთასთან მიყვანა. აქედან უნდა გადამლილიყო ქართული რასის წინაშე დიდი სანახები ნემოს მთისა...“

ფოლკლორის „გარდავედ, მოსეს!“ ერთ-ერთი ომერტონის (ამერიკის სამოქალაქო ომის) გასაზრებლად უპირიანი ფოლკლორისაც ესეების პასაჟის მოხმობა: „დასავლელის ტრადიციის პაპამისზე შორს არ მიდის, აღმოსავლელისა - ასეულ პაპას იქით აღწევს. ჩემები შოტლანდიელიები გახლდნენ, დამარცხებულთა მხარეს იბრძოდნენ და ამერიკაში გადმოსახლდნენ, კაროლინას შტატში. პაპაჩემიც დამარცხებულთა მხარეს იბრძოდა 1861 წელსო“, თითქოს უბრალოდ აგტომოგრაფიულს ჰყვება, მაგრამ განზოგადების უმძაფრეს მუხტს სძენს შემოთქმულს. დაუეიწყარია სამოქალაქო ომის საბინელების ფოლკლორისეული ალქმის ლაკონიური სიზუსტე: „ჩვენი მიწა დაპყრობილი იყო იმ ხალხისაგან, რომელიც ჩვენს ენაზე ლაპარაკობდა, და ეს ყველაზე სასტიკი ომია.“

პატრონის, ჭირისუფლის პასუხისმგებლობა აჯერებს თვალსაზრისს: „სამხრეთი კიდევ მიყვანს და კიდევ მძულს. ზოგიერთი რამ სულაც არ მომწონს, მაგრამ აქ დავიბადე, ჩემი სახლი ეს არის და მაინც დავიყავ, თუნდაც მძულდეს.“

ილიასემრი, ორლესური ფრაზაა.

ღმერთი ცენტრალური პერსონაა ფოლკლორის კოსმოგონიისა. უფალი და ადამიანი განუყრელ ერთობაში აღიქმება ესეისტისეული, გელეტრისტიკაშიც.

მწერლის მრწყამით, „როგორც უნდა იყოს სიმბოლო, ჯვარი იქნება თუ ნახევარმთვარე, ის მოაგონებს კაცს ვალდებულებას კაცობრიობის წინაშე.“

ინგლისურ კლუბში უთქვამს, „სატანის მთელი შემზარაობა ის არის, რომ მას შეუძლია, ღვთის სახელიც კი მიითვისოსო.“ უაღრესად საგულისხმოა ერთდროულად კვლავ სრული სერიოზულობითა და მწარე ირონიით თქმული, „თუ ყველა ფეხზე იდგება ველისაში, იქნებ ზანგმაც შეძლოს იქ შესვლაო“ (სეგრევაყავიან რომანის „გარდავედ, მოსე!“ უარსებითისი ომერტონია).

ავად ფოლკლორზე უპირიანი გამეორება მისივე სიტყვებისა, ფლომერზე რომ წერდა, „ფლომერი იმედს არასოდეს გავიკრუვებთ და ბოლომდის მათემატიკოსივით ზუსტი იქნებაო.“

შემოქმედების მთავარ ინსპირაციებზეც ჰყვებოდა დიდი შემოქმედი: „ათ-თხუთმეტე წელიწადში ერთხელ თავიდან ბოლომდის ვკითხულობ ძველ ალექსას. მაქვს შექსპირის თხზულებათა სრული კრებული ერთ ტომად, სულ თან დამაქვს და ცოტ-ცოტას ყოველთვის ვკითხულობ... წმინდა წერილისადაც განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭევვის სხვა ფრაზაშიც: „ძველი ალექსა ჩემთვის ყველაზე მშვენიერი, ყველაზე მიმზიდველი ფოლკლორია იმათ შორის, რაც წამოკითხავს. ეს განსაკუთრებული ხალხი ბუსტად მეცხრამეტე საუკუნის მცხოვრებლებივით იქცეოდა. ახალ ალექსას ისე ვკითხულობ, როგორც მუსიკას უსმენენ ხოლმე, ან უკან დაიხევენ და შორიდან უმზერენ ქანდაკებას, ან ხუროთმოძღვრულ ძეგლს. ძველი ალექსა ხალხზეა, ახალი - ადამიანზე.“

ბიბლიის მუხლთა დამეპირებლთა თურმე „კეთილმა შოტლანდიელმა პეპერა მარნი“ მიაჩნია - საუბრემდის აუცილებლად უნდა „ჩაერაკრაკებინა ბიბლიის ლექსი“ (გადია-პეპერების თემა, საერთოდ, ცალკე პლასტია ფოლკლორის მონუმენტური პროზისა, საკმარისია დიღობის მოხსენიება, თუ „გარდავედ, მოსეს“ ეპიგრაფ-მინაწერი გახსენება: „დელილოს - ვეროლიან ბარს (1840-1940), ვინც დაიბადა მონობაში და ჩემს ოჯახს უერთგულა უსაზღვროდ და უანგაროდ და ყმაწვილკაცობაში მომანიჭა განუზომელი ზრუნვა და სიყვარული.“

ყოველი სამხრეთული ოჯახი, „წიგნს რომ ყიდულობდა, სკოტს ყიდულობდაო“, აღნიშნავდა ფოლკლორის სამხრეთზე, „დაპყრობილსა და გაძარცვულ იმ ხალხის მიერ, მათ ენაზე რომ ლაპარაკობდა. ყველა სამხრეთელმა იცის, რომ შინაურებს მაინცდამაინც არ ეპიტანავებთ მისი ნაწერი, კარგი ხალხია, მაგრამ როგორც გაურბიანო“.

ამადაც მოიყვანს ესეების ბოლოსიტყვაობაში როსტომ ჩხეიძე ფოლკლორის ციტატას, „კუცისების ხელში წიგნი არ დამინახავს და, ნეტავი, მე რამ ამალღებინა, ან მწერლობა რაღამ მომანდომებინაო“ („ფოლკლორის ჩიბუხი“) და განმარტავს, „ლიტერატურულმა ინტერესმა დააბრუნა ბიბლიასთან და ბავშვობისა შეუცნობელი მისი გამორჩეული სილიადვე ლიტერატურის სიყვარულმა შეაგრძნობინაო“.

„ჩემი უკანასკნელი წიგნი განკითხვის წიგნი იქნება, ოქროს წიგნი იოკნაპატოფას ოლქისა, მერე გადავტეხავ კალამს და გავჩერდები“, - აღსარებასავით ეტყვის მწერალი ჯინ სტიინს. ფოლკლორის დანახვით წერდა, რომ „სამერძნეთის აღმოსავლეთით“ არასოდეს ყოფილა...
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა მრწყინვალე თარგმანებით ესეებისა და რომანისა „გარდავედ, მოსე!“ (ისევე, როგორც „იოკნაპატოფას ოლქის ოქროს წიგნების“ სხვა შესანიშნავი მთარგმნელებმა) ფოლკლორის „სამერძნეთის აღმოსავლეთით“ არა მხოლოდ ამოგზაურეს, საშუალოდაც დაამკვიდრეს.

მკითხველთა ყოველმა თაობამ თავიდან უნდა აღმოაჩინოს თავისი ფოლკლორის, თავისი იოკნაპატოფა - „ველი, სადაც მდორედ მიდინება მდინარე“, რათა გააცნობიეროს, რომ „ყველაფერი არ მდინარეს“...
„გარდავედ, მოსე“ ამაზე ჰყვება - წარუვალ ღირებულებებზე...

სიმონ ბარათიძე:

თბილისში ჰაერი ვერ ნიავდება

დედაქალაქი მხოლოდ კლინიკი ქარის იმედადაა



საპროექტო მუშაობების შედეგად, მაღალსართულიანი კორპუსების მშენებლობის გამო თბილისის სათანადოდ ვეღარ ნიავდება. ამ ფუნქციას ადრე ლისისა და კუს გბების მიმდებარე სივრცე, მდინარე მტკვარი და გამწვანების რამდენიმე პარკი ასრულებდა, მაგრამ ურბანული პრობლემის გამო თბილისში, ასევე რამდენიმე დიდ ქალაქში განიავების სერიოზული პრობლემაა და სარეკრეაციო ზონები თავიანთ ფუნქციას უკვე ვეღარ ასრულებენ. ამის შესახებ „კომერსანტთან“ ეკოლოგი, აკადემიკოსი სიმონ ბარათიძე საუბრობს.

„სამშენებლო მტვერი, მანქანებისა და უკვე გათბობის გამონაბოლქვი ატმოსფეროში სერიოზულ დაბინძურებას იწვევს, რომელიც ილექება დაბლა და მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს დიდ საფრთხეს უქმნის. დედაქალაქის განიავების ფუნქციას მტკვარი ასრულებს, მაგრამ – არასაკმარისად. დღესდღეობით თბილისი მხოლოდ ქარის დროს ნიავდება“, – აცხადებს ბარათიძე.

მისი შეფასებით, პრობლემა წლიდან წლამდე მწვავედება და განსაკუთრებით მას შტაბურია ზაფხულობით მაღალი ტემპერატურის პირობებში.

„უგანზომილებო, უაზრო განაშენიანების პრინციპი უნდა აიკრძალოს. თბილისი მიეკუთვნება ქვაბულების (ჩანული ნაწილი) მქონე ქალაქების ტიპს, სადაც მაღალი კორპუსების მშენებლობა ძალიან სა-

რისკოა. საკვამლე მიწები გამოყოფილია ჰაერში, რომელიც ნაშენი აირებით არის გაჯერებული, რაც ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. გამოდის, რომ მეზობელი ნაშენი მეზობელს და ქალაქი რჩება გაუნიავებელი უფრო მეტად და ძლიერად, ვიდრე ადრე. ეს გამოჩნდება ზაფხულში მაღალი ტემპერატურისას, განსაკუთრებით უქარო ამინდში. ამერიკის და დუბაის მაგალითებს თუ ვიღებთ მხედველობაში, იქ მაღალი კორპუსების მშენებლობის საშუალებას პორიზონტი იძლევა, რასაც თბილისი მოკლებულია“, – აცხადებს „კომერსანტთან“ სიმონ ბარათიძე.

ეკოლოგის შეფასებით, მტკვრის მარცხენა მხარე უფრო განიავებადია, ვიდრე მარჯვენა. ხოლო ლისის და კუს ტბებიდან ჰაერი საერთოდ არ ჩამოდის, რაც თბილისისთვის დიდი ეკოლოგიური პრობლემაა. „მაღლივი კორპუსები განიავებას ხელს უშლის. ლისის და კუს ტბებიდან ჰაერი არ ჩამოდის. მთელი ვაკე აშენდა მაღალი კორპუსებით, სადაც საკვამლე მიწებიდან გამოსული ნაშენი ჰაერს ნაშენებს. როცა ქარი უბერავს 13 მ/წამში იწვევს ქარის სიჩქარე და ქალაქი იწვევს განიავებას. ამის შესაძლებლობას მხოლოდ მტკვრის მარცხენა მხარე იძლევა. ეს ერთადერთი საშუალებაა, რაც მტკვრით ანიავევს ჰაერს. ძალიან მძიმე სტრუქტურაა. განათებულია რომ ავიღოთ, მზის სხივი საკმარისი მოცულობით თუ ვერ შემოვა, ჯანმრთელი თაობა არ გვეყოლება. დაბინძურებულ ჰაერში კარგად ცხოვრობს ნებისმიერი ინფექცია, მათ შორის,

კოვიდი, ცნობილი ფაქტია. ნებისმიერ მომენტში შეიძლება ქალაქი ახალი ბაქტერიის წყარო გახდეს.

დაბალ სიჩქარეებში სპორტის სასახლე ნიავდება, იზოდრომიდან წამოსული ნიავე საბურთალოს ქუჩიდან აღწევდა, მაგრამ ესეც გადაიკეტა – ჰაერის მოძრაობის მიმართულებით დადგა შენობები. ანალოგიური პრობლემაა დიდ ქალაქებში, განსაკუთრებით აჭარაში, ბათუმის უდიდეს ტერიტორიაზე ვერ აღწევს ზღვიდან წამოსული ნიავე, რადგან შენობები ქმნის ბარიერს“, – აღნიშნავს სიმონ ბარათიძე.

მისივე შეფასებით, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების ზღვარი მინიმუმ 10 მეტრს აღემატება. მსუთავი აირი დაბლა ჩამოდის და განსაკუთრებით ბავშვებს უქმნის პრობლემას, რის გამოც მათი ქუჩებში გასეჩივრება უკვე საშიში გახდა.

მართალია, ატმოსფეროს დაბინძურების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქაოსური განაშენიანება მიიჩნევა, თუმცა არანაკლები პრობლემაა ავტომობილების გამონაბოლქვი და სამშენებლო მტვერი, რომლებიც დიდ რისკს ქმნის. გაეროს განცხადებით, ჰაერის დაბინძურებით ყოველწლიურად შვიდი მილიონი ადამიანი იღუპება. ორგანიზაციამ გამოთვალა, რომ ეს რიცხვი უფრო მაღალია, ვიდრე ომის, მონევისა და ტუბერკულოზის შედეგად გარდაცვლილი რაოდენობა.

„სადაც არ უნდა ცხოვრობდეთ, ჰაერის დაბინძურება თქვენს სიცოცხლეს ამცირებს!

მარი ჩიტაია

ხმელთაშუა-ზღვისპირეთის ნიადაგის 70 პროცენტი გაღმავებული ეკოლოგიური ფუნქციების შესრულების უნარს კარგავს!

ახალი ანალიზების მიხედვით, ხმელთაშუაზღვის რეგიონში ნიადაგი დეგრადირდება და მინა უდაბნოდ იმაზე მალე გადაიქცევა, ვიდრე ევროკავშირის ნებისმიერ სხვა ადგილას.

ნიადაგის სიჯანსაღის შესახებ ევროკავშირის მიერ გამოცემული ახალი პუბლიკაციის მიხედვით, ევროკავშირში ნიადაგის 70 პროცენტი გაღმავებული ეკოლოგიური ფუნქციების შესრულების უნარს კარგავს.

ზღვის წყლის შემოჭრის, ეროზიის, გვალვისა და ტყის ხანძრებისადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა ხმელთაშუაზღვისპირეთის თხელი ნიადაგები. უფრო მეტიც, ამ რეგიონს ევროკავშირში ეროზიის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი და ნიადაგის ორგანულ ნივთიერებათა ყველაზე დაბალი დონე აქვთ.

ამას გარდა, ამ რეგიონში საკმაოდ მაღალია მოსახლეობის რაოდენობა, რაც აუტილებელს ხდის ქუჩების მოსვალეობას და ბეტონით დაფარვას და შედეგად, მინა მძიმე ლითონებითა და პესტიციდებით ბინძურდება.

ჯანსაღი ნიადაგი წყალს ინახავს და ატარებს. სწორედ ის ზრდის ადამიანთა საკვების 95 პროცენტს. როდესაც ნიადაგი დეგრადირდება, მასში სიცოცხლის მომცემი პროცესები სათანადოდ ვერ ფუნქციონირებს.

ამ დრომდე ძალიან ცოტა კვლევა ჩატარებულია ამ რეგიონის ნიადაგის სიჯანსაღისა და მასზე მოქმედი ფაქტორების შესახებ. მიმოხილვაში შეტანილი მრავალი კვლევა ფოკუსირებულია ეროზიის მიერ ნიადაგის დეგრადირებაზე, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე მათგანი ითვალისწინებს ბიოლოგიური დეგრადაციის ეფექტებს.

ცნობილია, რომ მინაში საკვებ ნივთიერებათა რეგულირებაში დიდ როლს ასრულებენ ქიანჭველები და ქიანჭველები, მათი ქმედებები ხელს უწყობს ნიადაგის ერთიანობას. შეიცვალენ თუ არა ეს მინისქვეშა საზოგადოებები ადამიანთა გავლენის შედეგად? და რა გავლენას ახდენს ეს მათ მიმდებარე გარემოზე?

1950-იანი წლებიდან ხმელთაშუაზღვის რეგიონში იმატა გვალვებმა, რამაც ზოგიერთ ფერმერს საკუთარი მიწის მიტოვება აიძულა, იმატებულ გაუდაბნოება, რაც ხანძრების რისკსაც ზრდის.

„ცვლილებები სასოფლო-სამეურნეო სისტემებში, მინათსარგებლობის სხვა ცვლილებებთან ერთად, იწვევს ჰაბიტატის დაკარგვის კრიტიკულ დონეს. ეს კი განსაკუთრებით შემაშფოთებელია, რადგან ხმელთაშუაზღვის რეგიონი ხასიათდება უჩვეულო მრავალფეროვნებით, მრავალი ენდემური სახეობით...“, – ნერენ მკვლევრები.

„ჩიყის ღოჯები“ 10 მილიონ ლარად იყიდება!



მასში ქართული ღვინის საფუძვლიანი სივრცის განთავსება იგეგმება

საძარბაველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ლევან

დავითაშვილის განცხადებით, მთავრობის ბოლო სხდომაზე სხვა საკითხებთან ერთად, „ჩიყის ღოჯების“ აუქციონთან დაკავშირებითაც იმსჯელეს. მისივე თქმით, სააუქციონო პირობებში ცვლილებები შეიტანეს, რადგან წინა აუქციონის პირობებით ინვესტორი ვერ დაინტერესდა.

ლევან დავითაშვილი იმედოვნებს, რომ წარმატებული აუქციონის შედეგად ისტორიული ადგილიც გაცოცხლდება. „ჩიყის ტერიტორიაზე ღოჯების აუქციონის პირობებში შევიტანეთ ცვლილება. ამას მთავრობის შესაბამისი განკარგულება დასჭირდა. მთავრობაზე ვიმსჯელებთ, რადგან წინა აუქციონის შედეგად, ის ფასი, რომელიც გამოცხადებული იყო, სამწუხაროდ, ვერ მივიღეთ ინვესტორების დაინტერესება.

დიდი იმედი გვაქვს, რომ მოლაპარაკებები, რომლებიც არსებობს დაინტერესებულ მხარეებთან, საბოლოოდ წარიმართება წარმატებით. წარმატებული აუქციონის შედეგად, ამ ისტორიული ადგილიც გაცოცხლდება. ჩვენ აქაც გვინდა, რომ მორიგი მნიშვნელოვანი ტურისტული მიზიდულობის ცენტრი გაგაჩინოთ. აქაც განსაზღვრულია როგორც ტექნოლოგიური, ასევე სხვა ტიპის საგამოყენო სივრცის მოწყობა, ასევე ღვინის მუზეუმის მოწყობა. ეს არის თემა, რომელზეც ხშირად საზოგადოებაში იყო პოლემიკა, საუბარი, იმიტომ რომ ერთი მხრივ, ჩვენ გვაქვს ძალიან უნიკალური არტეფაქტების კოლექცია, ყველაზე ღირებული კოლექცია, რაც მსოფლიოში შეიძ-

ლებს იყოს, რაც ეროვნულ მუზეუმში არის შენახული, მაგრამ ჩვენი მიზანი არის ინტერეპტიული, სამუზეუმო სივრცე, რომელიც ღვინის თემატიკას შეეხება და ქართული ღვინის უნიკალურობას აჩვენებს მსახველებს, წარმოაჩენს თანამედროვე საშუალებებით.

გფიქრობ, აქ იარსებებს სივრცე, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე კერძო ინიციატივით გაკეთდა საკმაოდ კარგი სივრცეები თბილისშიც და საქართველოს ტერიტორიაზეც, რომელიც ქართული ღვინის პოპულარიზაციას ესება. ვფიქრობ, დიდი, მსხვილი, მასშტაბიანი მუზეუმის პროექტი იქნებოდა მნიშვნელოვანი, ამ კუთხითაც არის დაინტერესება. შეიძლება, ერთ-ერთი სივრცე დაეთმოს სწორედ ქართული ღვინის მუზეუმს და ქართული ღვინის თემატიკას.

ეს არის ცენტრალური ადგილი, სადაც ასევე ძალიან ბევრი მხანველი, ვიზიტორი ჩნდება თბილისში. შესაბამისად, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვანი მონაპოვრის პოპულარიზაციას უწყობს ხელს და მეორე მხრივ, მეტ ტურისტს მოვიზიდავთ, რომელიც არის დაინტერესებული ამა თუ იმ მიმართულებით, ხელოვნებით, ტექნიკით, ტექნოლოგიებით, ღვინის თემატიკით და ასე შემდეგ“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

აუქციონის საწყისი ფასი იქნება 10 მილიონი ლარი და სულ მცირე 20-მილიონიანი ინვესტიცია უნდა განხორციელდეს. შესაბამისად, აუქციონში მონაწილე მხარე გარანტიები უნდა წარმოადგინოს და მეორე მნიშვნელოვანი პირობაა, რომ ჩვენ სწრაფად მივიღოთ შედეგები და არა უმეტეს სამი წლის განმავლობაში, ანუ 36 თვისა, უნდა განხორციელდეს აუქციონის პირობით განსაზღვრული ობიექტების რეალიზება, მათ შორის იმ ინვესტიციების განმტკიცება, რაც ამ პირობიდან გვაქვს მოცემული. ეს არის არანაკლებ 20 მილიონისა. თუმცა ჩვენ წარმოადგინა გვაქვს, რომ იმ მასშტაბის პროექტების განხორციელებას, რომელზეც დაინტერესებული პირები საუბრობენ, მეტი რესურსი დასჭირდება. მათ შორის იმ ამბიციური პროექტის განხორციელებას, როგორც ქართული ღვინის მუზეუმი, ხელოვნების მუზეუმი და სხვა სივრცეები“, – განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სორბლის წარმოება ერთ-ერთ მთავარ სტრატეგიულ უნდა ვაღიაროთ



როგორც არსებული რეალობა ცხადყოფს ბოლო წლებში მთელ მსოფლიოში სულ უფრო მატულობს სორბლის ღირებულება. მაგალითად, 2022 წლის დასაწყისში ტონა სორბალი ბირჟებზე 350 აშშ დოლარია. თუ ამ ციფრს რუსეთიდან სორბლის შემოსატან ბაჟს, დაახლოებით 100 დოლარს დავუმატებთ, თვალსაჩინოა ამ რესურსის რეკორდულად მაღალი ღირებულება. ყველა ქვეყანა პირველ რიგში თავის სასურსათო უსაფრთხოებაზე ზრუნავს, რადგან პური ძირითადი და პირველადი კვების პროდუქტია. მისი ხელმისაწვდომობას კი ფასი განაპირობებს. დღეს ადგილობრივი სორბალი მცირე რაოდენობით გააქვს, შარშანდელი მოსავლის სიმცირის გამო. შემოტანილი სორბალიც შეცოტადაა, დავრჩით რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოსული დაუბეგრავი ფქვილის ამარა, თუმცა ეს პროცესიც სადამდეგაგრძელდება არაფინი იცის. ცნობისთვის, მეზობელ ქვეყნებში (რუსეთი, თურქეთი, სომხეთში) პური ჩვენზე ძვირია.

ფართობები დაუშუშავებელი და დაუთესავია. ვერავითარი რეფორმა სოფლის მეურნეობაში ვერ იქნება წარმატებული, თუ არ დავინყვით დეგრადირებული ნიადაგების, ჩვენი მიწის ფონდის მონესრიგება.

ქვეყნა, რომელიც მსოფლიოში სორბლის კულტურის წარმოების ერთ-ერთი პირველი კერაა და სადაც პურზე დამოკიდებული და მისი მოხმარებითაც გამოჩენილი ხალხი ცხოვრობს, მოხმარებული სორბლის მხოლოდ 15 პროცენტს აწარმოებს, თანაც ფაქტია რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ცდილობს პურით შეივსოს დღიური რაციონი – პურპროდუქტების ნაწარმი კვებაში ენერგეტიკული ღირებულების 60-62% -ს არ აღემატება.

ბი (1000 კუბ.მ იყო 4 ლარი და 40 თეთრი და გახდა 6 ლარი 51 თეთრი). ძალიან მაღალია ბუნებრივი აირის ფასებიც. ფაქტიურად წლიდან წლამდე მენარმეობა რთულდება, ტარიფები კი იზრდება, მომსახურება უარესდება და თანაც სხვადასხვა ფასებით მიწოდება პურის მცხოვრებლებს, რაც არასტაბილურ კონკურენტულ გარემოში ქაოსს ბადებს. ამ დროს კი ეს კომპანიები ჩასაფრებული არიან დემოზიტებზე, საკმარისია ერთი თეთრი შეგეშალოს არ შეგატყობინებენ და გაზღვევინებენ სამაგად. ფასის მატება მომსახურებისა და ყურადღების მიქცევას უნდა ნიშნავდეს და არა ჩასაფრებას. რაც შეეხება გადაამუშავებელ ნისქვილებს, ჯერ იყო და 2007-09 წლებში მხოლოდ ერთეულებს ჰქონდათ ფქვილის წარმოების უფლება. ამ უგუნურების გამო ბევრი ქართული ნისქვილი გაიყიდა და გაკოტრდა. ამჟამად სორბალი ძალიან გაძვირდა და სორბალიც რომ იყოს, მომატებული ენერგომატარებლების ფონზე საქართველოში დამზადებული ფქვილი ძვირი დაჯდება. საილუსტრაციოდ მოგიყვანთ მაგალითს – 1 ტონარა ადგილობრივი წარმოების პირველი ხარისხის ფქვილი ჯდება 75-76 ლარი, უმაღლესი ხარისხის – 77-80 ლარი, რუსეთიდან შემოტანილი ფქვილი 1 ხარისხის – 67-68 ლარი, სწორედ ამის ფონზე შენარჩუნებული პურის ღირებულებაა. რაც შეეხება უმასხის-მგებლო განცხადებებს პურის გაძვირების შესახებ, დავაზუსტებ, საქარხნო პური, შეფუთული, 1 ხარისხის ღირს 90 თეთრიდან 1 ლ 40 თეთრამდე (ქარხნიდან გასაცემი), 20-30 თეთრი მეთი ღირს დაჭრილი და შეფუთული, ასევე რეცეპტურული პურები. უნდა აღინიშნოს რომ გასულ წლებთან შედარებით კახეთში ამუშავდა ნისქვილები, რომლებიც ადგილობრივ სორბალს რუსულთან აკუპაყებდნენ და ფასებიც ბევრი მეტური-სათვის მისაღები იყო, სწორედ ასეთი პოლიტიკა დაინტერესებთ ფერმერებს წელს

უფრო მეტი აწარმოონ სორბალი. საქართველოში შესაძლებლობებია, რომ ამ ეტაპზე ქვეყანამ საკუთარი წარმოების მარცვლით 50% მაინც უზრუნველყოს და ეს უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს. ეს იქნება პურის ფასის სტაბილიზატორი და სილარობის დაძლევის ტოლფასი.

საქართველოში სორბალი ითესებოდა შემოდგომით, ხოლო მეორე გაზაფხულზე იფქვი და დიკა. სამწუხაროდ ამჟამად დაუთესავია ათასობით ჰექტარი. სახნავი მიწის გაკულტურება სათანადო აგროტექნიკური ღონისძიებების გატარება, მაღალსელექციური ჯიშების გამოყენება წარმატებით გადამწყვეტს ქვეყნის 50% სორბლით უზრუნველყოფის საკითხს. საჭიროა ნიადაგის გაკეთილშობილება, სპეციფიკური ღონისძიებების გატარება (ეს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემაა, ამიტომ ფინანსური დანახარჯები პირველ ეტაპზე სახელმწიფომ უნდა გადაინაწილოს ფერმერებთან ერთად) აუცილებელია, ქართული ტრადიციული კულტურები ისტორიულად წარმოშობის ადგილებზე დაითესოს. სადაც ისინი რამდენიმე ათეული წლებია არ მუშავდებოდა; ეს ხელს შეწყობს არა მხოლოდ გენოფონდის დაცვას, არამედ ხალხში თავისი ტრადიციული თვითმყოფადობის აღდგენას.

სორბლის წარმოება უნდა ვაღიაროთ მნიშვნელოვანად და სტრატეგიულად, რაც სასურსათო უსაფრთხოების საძირკველი იქნება. სასურსათო დანიშნულებით დღეს გვჭირდება 750 000 ტონა სორბალი, აქედან ნახევარი ტონა ვანარმოთ, წარმოუდგენლად წინ წავაღო. დღეს ვანარმოებში მხოლოდ 120 ათას ტონას, ამიტომ მოსავლიანობის გაზრდა პირველი რიგის ამოცანად უნდა დავინახოთ და ყველამ თავისი წვლილი ჩავდოთ.

მალხაზ დოლიძე,
ბაქმიძის მემორიალური ფონდის დირექტორი, პროფესორი.

ფაქტია რომ საქართველოში ნელ-ნელა სულ უფრო უზრუნველბიან მიწის დამუშავებას და სორბლის მოყვანას, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკმარისი არ გახლავთ. „გაეროს“ რეზოლუციის შესაბამისად ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება რისკის ქვეშ მდებარეა თუ მოხმარებული პროდუქტის 20%-ზე მეტი იმპორტირებულია, საქართველოში კი სასურსათის 70%-ზე მეტი იმპორტია. ამის ფონზე მაკვირვებს ზოგიერთის შეკითხვა, დოლარის კურსი შეიცვალა და პური როდის გაიადფდება?

სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის პირველი, განსაკუთრებული და შეუცვლელი ფაქტორი ნიადაგია. ნიადაგის გამოფიტვა, მისი დეგრადაცია – ეს უდიდესი პრობლემა ქვეყნისათვის. დღეისათვის მნიშვნელოვანი ფართობები უჭირავს დეგრადირებულ ნიადაგებს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 35%-ზე მეტს შეადგენს, ეს სახნავი ფართობების 70-80%, როგორც სპეციალისტები ამბობენ, ღარიბია საკვები ელემენტებით, რაც უსარისხო და ღარიბ მოსავლას განაპირობებს, ამიტომ ჩვენს მცირემიწიან ქვეყანაში მიწის მნიშვნელოვანი

ყოველივე ეს დამაფიქრებელია და ნებისმიერი მოქალაქე ვისაც ხელეწიფება და ეს პრობლემა აფიქრებს, ნუ გადააყოლებენ ქვეყანას პოლიტიკას და ერთმანეთთან უაზრო პაექრობას, ვიფიქროთ, ვისწავლოთ, რეალური გამოსავალი ვიქნებით. ყოველთვის საშუალოდ ისრაელის სახელმწიფო, რომელიც მისდამი მტრული ქვეყნებთანაა გარშემორტყმული, მაგრამ იმდენად გონივრულად ახერხებს ეკონომიკურ ურთიერთობებს, რომ ყოველთვის საკუთარ ინტერესებს და საკუთარი კეთილდღეობას აყენებენ წინ, რაც ისეთი პატარა ქვეყნებისათვის როგორც ჩვენი ქვეყანაა მისაბაძი უნდა იყოს. სამწუხაროდ ჩვენ ვერ ვაანალიზებთ ამ მაგალითს ჩვენს სასარგებლოდ, თუმცა მიწა იცოდეთ წელს ისრაელშიც გაძვირდა ელექტრო ენერჯია, სანავი და სასურსათო პროდუქტი დაახლოებით 5%, მაგრამ ცდილობენ გაამარტივონ რეგულაციები, მაგალითად უცხოელების დასაქმებები.

როგორც პრაქტიკოსი, 50 წელზე მეტია პურპროდუქტების დარგში ვმუშაობ და კარგად ვხედავ, ისეთი სირთულეები, როგორც დღეს გაჩნდა ამ დარგში, არასოდეს ყოფილა. ერთი მხრივ სორბლის ღირებულებამ რეკორდულ ციფრებს მიაღწია, რის გამოც სორბლის შემოტანა გართულდა. მეორე მხრივ, სულ უფრო რთული ხდება პურის წარმოება – მიმდინარე წლიდან 50%-ით გაიზარდა ელექტროენერჯიის ფასი, გაიზარდა წარმოებისათვის წყლის ტარიფი

საბედნიეროდ, უსხოეთში ლეგალურად დასაქმებას ქართველები ვერ შეხვდნენ!



ბერმანიაში ლეგალურად დასაქმების პროგრამა, რომელიც 2021 წელს დაიწყო, წელსაც გაგრძელდება, მაგრამ მისდამი ინტერესი რომ აღარ არსებობს, ეს უკვე აშკარაა. 2021 წელს ბერმანიაში ენ. ლეგალური პროგრამით, ჯამში, 308 ადამიანი დასაქმდა, მაშინ, როცა პორტალზე რეგისტრაცია თითქმის 100 ათასმა მოქალაქემ გაიარა. ახლა კი მხოლოდ 18 ადამიანი გაემგზავრა უცხო ქვეყანაში სამუშაოდ და ეს მაჩვენებელი დიდად არც გაიზარდება. კიდევ უფრო რთული ვითარებაა ისრაელის მიმართულებით, სადაც გამგზავრების სურვილიც არაფერს გამოუთქვამს.

„გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სეზონურ სამუშაოზე ქართული სამუშაო ძალის დასაქმების შესახებ შეთანხმება არასდროს ყოფილა დროში შეზღუდული. ამ შეთანხმების ფარგლებში სოფლის მეურნეობის სფეროში საქართველოს მოქალაქეთა დასაქმება სტაბილურად მიმდინარეობდა 2021 წელს და გაგრძელდება როგორც 2022, ასევე მომდევნო წლებშიც. წელს უკვე ამ შესაძლებლობით ისარგებლა 18-მა პირმა“, – აცხადებენ დასაქმებისა ხელშეწყობის სააგენტოში.

თუკი გერმანიაში წასვლის სურვილი 100 ათასმა კაცმა გამოხატა, მსგავსი ლეგალური პროგრამით, ოღონდ ისრაელის მიმართულებით, ადამიანთა უმცირესი ნაწილი დაინტერესდა. ამ შემთხვევაში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია 1587 მოქალაქემ გაიარა. იქ განსაზღვრული იყო კვოტაცია, რომელიც 1000 ადამიანის დასაქმების შესაძლებლობას იძლეოდა. ჯერჯერობით ახლო აღმოსავლეთში ლეგალურად დასაქმების მიზნით 1 ადამიანიც კი არ გამგზავრებულა.

მათივე ცნობით, საქართველოს მოქალაქეებმა ვერ შეძლეს შეთანხმებით გათვალისწინებული ერთ-ერთი მოთხოვნის, შესაბამის სფეროში განათლების დამატარებელი დოკუმენტის წარმოდგენა, ამიტომ განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, შეუშავდა მოკლევადიანი (14-საათიანი ერთი თვის ხანგრძლივობის) კურსი შინაგარეულ სფეროში.

„კურსის გავლის შემდგომ, მსურველებს ექნებათ შესაძლებლობა, წარმოადგინონ შესაბამისი განათლების დამატარებელი დოკუმენტი და ჩაერთონ საქართველოს მთავრობასა და ისრაელის კონკრეტულ სექტორებში საქართველოს მოქალაქეთა დროებითი დასაქმების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული პროცედურების გავლის პროცესში. კურსების ჩატარების შესახებ ავტორიზაცია უკვე მიღებული აქვს 4 პროფესიულ სასწავლებელს“, – განუცხადეს „ბიზნეს მედიას“ დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში.

საქართველოს მოქალაქეების ლეგალურად დროებით დასაქმება გერმანიაში ორ ქვეყანას შორის გაფორმებული შეთანხმებით გახდა შესაძლებელი. გერმანიის შრომის ბაზარზე, საქართველოს მოქალაქეებს დროებითი ლეგალური დასაქმება 3 თვის შეუძლიათ. სეზონური სამუშაოები გერმანიაში გასული წლის 1 აპრილიდან დაიწყო. მისში გამგზავრებული ჯგუფის წევრები შრომის მძიმე პირობებზე საუბრობდნენ და აცხადებდნენ, რომ ხელფასს გაცილებით ნაკლებს იღებენ, ვიდრე დაპირება იყო.

„საქართველოს მხარის მიერ სულ ისრაელის სახელმწიფოში შემოსენებული შეთანხმების ფარგლებში დასაქმებისათვის გაგზავნილი იქნა 125 განაცხადი. შეთანხმებით გათვალისწინებს რამდენიმე ეტაპთან შერჩევის პროცესს და ქართული მხარე ელოდება ინფორმაციას ისრაელის შესაბამის პარტნიორ უწყებასთან გაგზავნილი 60 მოქალაქის განაცხადის თაობაზე“, – აცხადებენ სააგენტოში.

ისრაელსა და საქართველოს შორის დადებული შეთანხმების თანახმად, საქართველოს მოქალაქეებს ისრაელში ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებებში დამხმარე მუშაკის პოზიციაზე დასაქმება შეუძლიათ. **სამუშაოს ხანგრძლივობა 6 სამუშაო დღეა კვირაში, თვის დარიცხული ხელფასი კვირაში დაახლოებით 1600 დოლარია.**

ოვალური ბურთი

საიუბილეოს, პრინციპული...

მოხსენებდა 27 თებერვალი, როცა „ბორჯღალოსნები“ რაგბი ევროპის ჩემპიონატის მესამე ტურში რუსეთის ნაკრებს დაუხვდებიან და გამარჯვების შემთხვევაში 2023 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების საგზურს ოფიციალურად დაუფლებიან.

აღსანიშნავია, რომ „დინამო არენაზე“ ლევან მისაშვილის განკრთილი მასპინძლები ისტორიაში 250-ე(!) შეხვედრას გამართავენ და თანაც მეტოქესაც ხომ გააჩნია — იმ რუსეთთან, ვისაც აქამდე 25 პრინციპული ბრძოლიდან 23(!) მოუგეს, ერთადერთი — სულ პირველი დაუთმეს უკვე შორეულ 1993 წელს პოლონურ სოპოტში — 9:15 და ერთხელაც თბილისში ზავით გაეყარნენ 2002 წელს — 12:12.

ისტორიას ჩვენი გუნდის უდავო უპირატესობის ამსახველი სხვა სტატისტიკური მონაცემებიც ახსოვს: ლელოები — 70:17 და ბურთების შეფარდება — 618:273.

ეტყობა, დასახელებულ ციფრებსაც ითვალისწინებს სტუმართა სამხრეთაფრიკელი თავკაცი დიკ მური, როცა გვჩვენებს და სავსებით საფუძვლიანად გვიფრთხის კიდევაც: „საქართველოს ნაკრები ბევრ ასპექტში გაცილებით ძლიერია, მათ შორის იმითაც, რომ მისი წევრები წამყვანეროპულ კლუბებში თამაშობენ. ჩვენ კიდევ ბევრი მუშაობა გვმართებს, რათა მათ დონეს მივალწიოთ, თუმცა მოგების შანსი ყოველთვის არსებობს“...

დავძენთ, რომ მასპინძელთა გაფართოებულ შემადგენლობაში 19 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა.

ბურჯანი: გურამ გოგიანი (პრასინგი, 27 კეპი, 10 ქულა), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე, 69, 10) ნიკა აბულაძე (შავი ლომი, უკუპო), ლუკა ჯაფარიძე (პრივი, 56, 5), ნიკოლოზ ხატიასვილი (შავი ლომი, 7 კეპი), გიორგი ბერუაია (შავი ლომი, უკუპო); კმბტმბი: შალვა მამუკაშვილი (შავი ლომი, 86, 55), ჯაბა ბრეგვაძე (აჟენი, 67, 25), გიორგი ჭყვიძე (პენზა, 20, 15);

მომრმ ხაზი: კოტე მიქაუტაძე (პბიონი, 70, 10), ლაშა ჯაიანი (შავი ლომი, 14 კეპი), ნოდარ ჭყვიშვილი (შავი ლომი, 35 კეპი), გრიგორ ქერდიცოშვილი (აჟენი, 8, 10);

მისამომ ხაზი: ბექა გორგაძე (პო, 33, 35), გიორგი ცუციტიანი (კორიაკი, 24, 15), თორნიკე ჯალაღონია (პბიონი, 14, 20), თათარ გიორგაძე (პრივი, 31, 40), ლუკა ივანიშვილი (შავი ლომი, უკუპო), სანდრო მამითაგრიშვილი (შავი ლომი, 2 კეპი);

დომრმ: ვასილ ლობანიძე (პრივი, 62, 65), გელა აფრასიძე (მონპელიე, 37, 24), მიხეილ ალანია (კორიაკი, 6 კეპი), თედო აბუჯანდაძე (პრივი, 30, 210), გიორგი ბაბუნაშვილი (შავი ლომი, 4, 9);

ცენტრმბი, ფრთები: მერაბ შარიქაძე (შავი ლომი, 82, 60, გუნდის კაპიტანი), გიორგი კვესელაძე (გლოსთერი, 37, 25), აკაკი ტაბუცაძე (შავი ლომი, 17, 75), დემეტრე თავლაძე (შავი ლომი, 14, 5), მირიან მოდუბაძე (შავი ლომი, 18, 40), თორნიკე კახიანი (ლელო, 1 კეპი), დავით მესხი (ენისი, 2 კეპი), ლაშა ხმალაძე (შავი ლომი, 90, 53), დავით ნინიაშვილი (ლიონი, 9, 23).

სუპერთასი

ლაზარეს კვირა ქუთაისში

მზონ, როცა „კრისტალზე“ ეროვნული ლიგის გუნდების უმეტესობა უცხოურ შეჯიბრებზე ან საკუთარ ბაზუბზე ეზადება ქვეყნის ჩემპიონატისთვის, ბათუმის „დინამო“ და „საბურთალო“ ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე ქომავთა თანდასწრებით ახალი საფეხბურთო სეზონი სლავა მეტ-

მწვრთნელი — გია გეგუშიაძე. „საბურთალო“: გომამე, ლაცაბიძე, ჯგერენია, კაკუბავა, უბილავა, შ. ნონიკაშვილი, ქარდავა, ლ. ნონიკაშვილი (ქავთარაძე), გორილეიშვილი, ტაბატაძე (სიხარულიძე), გულიაშვილი (იაშვილი).



რეველის სახელობის სუპერთასის გათამაშებით გახსნეს, ხოლო საქართველოს ჩემპიონატი 25 თებერვალს ასევე აჭარელთა და ბოლნისის „სიონის“ მატჩით აიღებს სტარტს.

მწვრთნელი — ლევან კორღალიძე. გაფრთხილება: მამუქაშვილი, გაფრთხიდაშვილი, ქარდავა, ფალავანდიშვილი, ლ. ნონიკაშვილი, ქავთარაძე.

მსაჯი — არსენ ნონიკაშვილი. ახალს არაფერს ვიტყვით — როგორც სათასო შეხვედრათა უმეტესობაში, მეტოქეებმა ამჯერადაც ბევრი იბრძოლეს, მაგრამ მცირედს ხიფათის შექმნა მოახერხეს. შოდა, ღირსეულ მოწინააღმდეგეთა მიტოვებითა და უძლიერესი ვერ გამოავლინა და ყველაფერი პენალტების სერიაში ზღვისპირელთა სასარგებლოდ გადაწყდა. ეს ბათუმელთა მეორე მსგავსი ტიტული უკვე შორეული 1998 წლის შემდეგ.

მატჩის გმირად აჭარული კლუბისა და „ჯვაროსანთა“ მეკარე ლაზარე კუბატაძე იქცა, რომელმაც ქავთარაძის, იაშვილისა და კოლევა გომამის დარტყმები მოიგერია. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს თვითონ შეეძლო პარტნიორთა გახარება ბიძინაშვილთან მოგებული დუელის შემდეგ, მაგრამ ლაზარესთან ნერვების ომი წააგო...

„დინამო“-„საბურთალო“ 0:0 პენალტებით - 7:6

„დინამო“: კუბატაძე, გაფრინდაშვილი, აზაცკი, კობახიძე, აზაროვი, ტეიდი (ბიძინაშვილი), მამუქაშვილი, ალთუნაშვილი (ანანიძე), ზარია (ფლამარიონი), ჯილაური (ფალავანდიშვილი), ფანცულაია (ლობჯანიძე).

სუთი რგოლი



მედალთა ბედალი

რომორც ყველა სპორტულ მოვლენას, პეკინის თეთრი ოლიმპიადისაც ჰყავდა როგორც გმირები, ისე ანტიგმირები.

დადებით ფაქტორებზე საუბრისას განსაკუთრებული პატივი უნდა მივაგოთ ნორვეგიელ ბიატლონისტს იოჰანეს ბოს, რომელმაც ერთადერთმა მოიპოვა 4 „ოქრო“ და ხუროდა 1 „ბრინჯაო“ ჩაიგობა.

ჩინური თამაშები ასევე ღირსეულად დაამშვენა იმ კვარტეტმა, რომელიც სამჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე: ალექსანდრ ბოლშუნიკოვი (რუსეთი), მარტე ოლსბუი — როსივანდი (ნორვეგია), ირენ შოუტენი (ნიდერლანდები) და ტერენზა იოჰუგი (ნორვეგია), თანაც პირველმა პირად მონაგარს 1 „ვერცხლი“ და 1 „ბრინჯაო“ დაუმატა, მეორემ — 2 „ბრინჯაო“, მესამემ კი — 1 „ბრინჯაო“.

შთამბეჭდავია აგრეთვე დუბლის 17 ავტორის ნა-

დავლიც: კვენტინ ფიონ მაიე (საფრანგეთი) — 2 „ოქრო“, 3 „ვერცხლი“, ტარეი ბო (ნორვეგია) — 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 1 „ბრინჯაო“, იოჰანეს კლებო (ნორვეგია) 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 1 „ბრინჯაო“, სუან შულტინგი (ნიდერლანდები) — 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, 1 „ბრინჯაო“, აილგენ გრაბაკი (ნორვეგია) — 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, იორენ გუ (ჩინეთი) — 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“, იოჰანეს შტროლცი (ავსტრია) — 2 „ოქრო“, 1 „ვერცხლი“.

დანარჩენმა ათეულმა მხოლოდ 2-2 „ოქრო“ იკმატა: ტორსტენ მარგისი (გერმანია), ფრანჩესკო ფრიდრიხი (გერმანია), ტომიას არლტი (გერმანია), ტომიას ვენდლი (გერმანია), იოჰანეს ლდუგი (გერმანია), ნატალი პაიზენბერგერი (ავსტრია), ურმა ბოგატი (სლოვენია), ლინდსი ჯაკობელისი (აშშ), ჟენ ჟიევი (ჩინეთი) და ნილს ვან დერ პოლი (შვედეთი).

რაც შეეხება ცისქვეშეთში დასრულებული ფორუმის შავ ლაქას, რუსი ფიგურისტი კამილა ვალიევა აისბერგის მხოლოდ მწვერვალია და განაჩენს მთლიანად სისტემა იმსახურებს. აკი განაცხადა კიდევ ვადას პრეზიდენტმა ვიტოლდ ბანვამ: ექიმები და მწვრთნელები ციხეში უნდა იხსდნენო.

ოქანის გაღვა

მეფური სტეფ-პოუ

ნბა-ს 75 წლისთავისადმი მიძღვნილ ყველა ვარსკვლავის ტრადიციულ სახანაობას ამჯერად ლებრონ ჯეიმსის მშობლიურმა კლივლენდმა უმასპინძლა და სიმბოლურიცაა, დაუფინსარ სპექტაკლს წერტილი თვით „მეფემ“ რომ დაუსვა — 163:160 (45:47, 49:46, 45:45, 24:22).

სხვა შემთხვევაში 25-ქულიანი პირადი მონაგრით შეიძლება ოქროს ბეჭდის ოთხგზის მფლობელს MVP ტიტულზეც გაეკაჩა, მაგრამ როცა გუნდში ჯადოქარ სტეფ კარისნაირი პარტნიორი გყავს, ძნელია რაიმე ინდივიდუალურ პრიზზე იოცნებო.

მართლაც, 16(!) სარეკორდო სამქულიანი და 50(!) ქულით „გოლდენ სტიტის“ ლიდერმა ლონისიძის ორგანიზატორებს არჩევანის გაკეთება მაქსიმალურად გაუადვილა. მას 3 ქულა დააკლდა ენტონი დევისის მიღწევამდე. აღარაფერს ვამბობთ იანის ანტიტოკუნფოზე, რომლის 30 ქულაც იმ საღამოს ასევე დაიჩრდილა. რაც შეეხება დურანტის გუნდს,

„ბრუკლინის“ ტრავმირებული სნაიპერის არყოფნაში 36 ქულით მხოლოდ ფოულ ემბიძმა გაიბრწყინა, რაც, ბუნებრივია, გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ განვლილი წარმოდგენა სახელოვან თარიღს ეძღვნებოდა და ისე როგორ ჩაივლიდა, რომ მთავარი მოვლენები შესვენებაზე ყველა თაობის ვარსკვლავთათვის სათანადო პატივის მიღებით არ დაგვირგვინებულყო. კარგი იქნება, თუ იუბილევების მაღალ დონეზე მოწყობას ჩვენც ვისწავლით.

დავძენთ, რომ სამდღიანი ელიტური უქმეები სხვადასხვა ნომინაციებში გამართულმა შეხვედრებმა თუ კონკურსებმა დაამშვენა:

ლეგენდების მატჩი. უილტონის გუნდი — უილკინსის გუნდი 65:51.

MVP — ალექს ტუსანი. ამომავალი ვარსკვლავების ტურნირი. ფინალი. ბერის გუნდი — თომასის გუნდი 25:20.

ოსტატობის ტურნირის გამარჯვებული — კლივენდის გუნდი (ალენი, გარლანდი, მობლი).

სამქულიანების კონკურსის გამარჯვებული — ვარლენტონი თაუსი („მინესოტა“). ჩატენების კონკურსის გამარჯვებული — ობი ტომპინი („ნიუ იორკი“).

მუნდიალ — 2023

კაპიტნის ფაქტორი

ბამბარმლად ყველაზე უარესი ვარაუდი — თორნიკე შინგელიანი მსოფლიოს ჩემპიონატის კორუბლს საკვალფიციო შეხვედრაში ჩრდილოეთ მაკედონიასთან ვერ დაგვეხმარება — ხვალ თბილისსა და 27 თებერვალს სკოპიეში.

როგორც მოგეხსენებათ, აქამდე ცსკა პირნათლად ასრულებდა „ჯვაროსანთა“ კაპიტანთან გაფორმებული კონტრაქტის საკვანძო პუნქტს და ჩვენი გუნდის ლიდერს დაუბრკოლებლად უშვებდა ოფიციალურ სანაკრებო შეხვედრებზე, მაგრამ ვინაიდან ამჯერად არმიელთა ევროლიგის ჯგუფური ტურნირის გადაამწყვეტი მატჩების ვადები („ბარსელონასთან“ და „ბაიერნთან“) ზუსტად დაემთხვა მუნდიალის შესარჩევი ბრძოლების გამართვის თარიღებს, სიტყვა გატეხა.

მასპინძელთა დანაკლისი ამით არ ამონურულა — პარტნიორებს ვერც ბექა ბურჯანიძე შეეშველება, რომელმაც ახლახან მოიშუშა ტრავმა და ჯერჯე-

რობით შორსაა ოპტიმალური კონდიციებიდან. ასე რომ, ბალკანელებთან სამშობლოს სპორტული ღირსების დაცვა 3 ლეგიონერსა და სუპერლიგის 13 წარმომადგენელს მოუწევს.

დავძენთ, რომ ხვალინდელ შეხვედრაზე დასწრების უფლება, რომელიც სპორტის სასახლეში 19 საათზე დაიწყება, დარბაზის ტევადობის 33 პროცენტს აქვს, ხოლო საპასუხო მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს ბალკანეთიდან 27 თებერვალს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი 23 საათიდან და 30 წუთიდან შემოგთავაზებს.

ილიას ზაროსის ჩიქულნი

თად მაკვადენი („მურსია“, ესპანეთი), ლუკა მაზიაშვილი („ცხუმ-აფხაზეთი“), გივი ბაქრაძე („ოლიმპი“), თათარ ფხაკაძე („ქუთაისი“), დუდა სანაძე („ბორაჯი“, სერბეთი), კახა ჯინჭარაძე („ოლიმპი“), მერაბ ბოქოლიშვილი („რუსთავი“), ნიკა გაფრინდაშვილი („დინამო“), ნიკა ჩიქელაშვილი („ცხუმ-აფხაზეთი“), ვლადიმერ თავაქარაშვილი („დინამო“), მიხეილ ბერიშვილი (თსუ), გიორგი კორსანტია („ქუთაისი“), აკაკი დგალიშვილი („ქუთაისი“), ბექა ბექაური („ბათუმი“), ილია ლონდარიძე („ოლიმპი“), გიორგი შერმადინი („ტენერიფე“, ესპანეთი).

ევროკავშირის საბრუნო პროგრამები

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, იმერეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულ ზვიად შალამბერიძესთან ერთად, იმერეთის მენარმეებსა და ფერმერებს შეხვდა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, შეხვედრის მიზანი იყო მენარმეებისა და ფერმერებისათვის ევროკავშირის „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით“ დაფინანსებული საბრუნო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

ევროკავშირის „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის“ ფარგლებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსის შედეგად, მცირე და საშუალო სანარმოების მხარდაჭერის მიზნით, 40 მილიონი ლარი გამოეყო სამ სახელმწიფო სააგენტოს: ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“, სსიპ „ანარმოე საქართველოში“ და სსიპ „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს“.

პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სააგენტოები, თავიანთი სფეროების მიხედვით, გასცემენ გრანტებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ოპერირებენ და რეგისტრირებული არიან ევროკავშირის პროგრამით განსაზღვრულ 4 საპილოტე რეგიონში: იმერეთში, კახეთში, გურიაში და რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში.



„სოფლის განვითარების სააგენტო“ აფინანსებს ისეთი ტიპის პროექტებს, როგორებიცაა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის შეძენა, შენობა-ნაგებობების სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მხარდაჭერა, პროექტის ფარგლებში შექმნილი დანადგარებისა და აღჭურვილობის დამონტაჟებასთან დაკავშირებული სამუშაოების მხარდაჭერა.

ეს არის ერთ-ერთი უნიკალური პროგრამა, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესს სხვა ფინანსური პირობებით და სარგებლით გააფართოოს თავისი საქმიანობა, იმისთვის რომ ადგილზე შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი და ის ფიზიკური ინფრასტრუქტურა, რომელსაც მუნიციპალიტეტი ქმნის სანარმოების ხელშეწყობისთვის. ასევე, შევსებული იყოს უკვე ინდივიდუალურად სხვადასხვა ბიზნესის მიერ თავისი საქმიანობის გაფართოებისთვის თვალსაზრისით. ვფიქრობთ, რომ საინტერესო პროგრამაა, რომელიც შევსებულია მათ შორის სწავლების თვალსაზრისით ბიზნესისთვის და დარწმუნებული ვარ ძალიან ბევრი აქტიური მომხმარებელი ეყოლება ამ მიმართულებას“, – აღნიშნა მზია გიორგობიანმა.

ქარლ შარცელი: კახეთში ჩავს ორდღიან ვიზიტს მანავის სიხილან ვიწყებ

ევროკავშირის ელჩი საქართველოში ქარლ შარცელი და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი კახეთის რეგიონს ეწვივნენ. ვიზიტი მანავის ციხეში დაიწყო, სადაც ელჩმა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული, ახლადრეაბილიტირებული გზა მოინახულა.



„მოვინახულე სხვადასხვა პროექტს, რომელსაც ჩვენ, რეგიონის განვითარების ხელშეწყობად, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებასთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად ვახორციელებთ“, – განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, ქარლ შარცელმა.

ცელმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

მისი თქმით, ეს არის ევროკავშირის იმ დიდი მიზნის ნაწილი, რომელიც ქვეყნის რეგიონების თანაბარ განვითარებას ითვალისწინებს.

ორდღიანი ვიზიტის განმავლობაში, ქარლ შარცელი საგარეჯოს, გურჯაანისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა პროექტს მოინახულა, ასევე მცირე ბიზნესის წარმომადგენლებს, ფერმერებსა და ექსპორტიორებს შეხვდა, რათა იმ ნიციბატივებს გაეცნოს, რომლებიც რეგიონს ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და გარემოსდაცვით კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

გენერალური პროკურატურის შენობა არ გაიყიდა!

„საქართველოს პროკურატურა ეხმაურება ერთ-ერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ მორიდ გეზინფორმაციას, თითქოსდა უწყება საქართველოს გენერალური პროკურატურის შენობის გაყიდვას აპირებს და მიუხედავად ამისა, აღნიშნული შენობის შესახებ სართულის სარემონტო სამუშაოების დაწყებას გეგმავს.“

კატეგორიულად და ხაზგასმით ვაცხადებთ, რომ გენერალური პროკურატურის შენობის რეალიზაცია არ იგეგმება. ვადასტურებთ, რომ გამოცხადებულია ტენდერი აღნიშნული შენობის მესამე სართულის სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, რადგან 2005 წლის შემდეგ, აღნიშნულ სართულზე მსგავსი სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა და პროკურატურა გეგმაზომიერ შიდა განახლებას ანარმოებს მისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

რაც შეეხება პროკურატურის ახალ შენობას, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პროკურატურამ

ჯერ კიდევ 25 იანვარს გაავრცელა განცხადება ახალი არქიტექტურული პროექტის განსახორციელებლად გამოცხადებული კონკურსის თაობაზე, აღნიშნული ფაქტით მანიპულირება და დეზინფორმაციის გავრცელება გრძელდება.

კიდევ ერთხელ საზოგადოებას ხაზგასმით განვუმარტავთ, რომ აღნიშნულ შენობაში განთავსდებიან თბილისის რაიონული პროკურატურების თანამშრომლები, რომლებიც თერთმეტი წელია, რაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის პოლიციის დეპარტამენტის შენობაში გამოყოფილ ოთახებში მუშაობენ და პროფესიული მოვალეობის შესრულებისთვის არასათანადო სამუშაო პირობებში იმყოფებიან. ამას გარდა, ახალ შენობაში ასევე თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროკურატურის სასწავლო ცენტრი განთავსდება.

ასევე, საზოგადოებას მივწოდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ პროკურატურის ახალი პროექტის მშენებლობა განხორციელდება საქართველოს პროკურატურის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის შედეგად ბიუჯეტში მობილიზებული თანხებით.

საქართველოს პროკურატურისთვის დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა არის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა და ამ მიმართულებით უწყება აქტიურად მუშაობს განაგრძობს, რათა ცრუ და არასწორი ინფორმაციის გავრცელებამ გავლენა არ მოახდინოს საზოგადოებაში პროკურატურის მიმართ ნდობის ხარისხზე. მოვულოდებთ სხვენულ მედიასაშუალებას, უარყოს მის მიერ გავრცელებული ყალბი ინფორმაცია და საზოგადოებას მიანოდოს ობიექტური და გადამოწმებული ინფორმაცია“, – აღნიშნულია განცხადებაში.



საქართველოს ეროვნული გალერეა 25 თებერვლიდან გამოფენას „1910-1932 წლების ქართული მოდერნიზმი და თბილისური ავანგარდი“ უკავშირებს

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა 25 თებერვლიდან 20 აპრილის ჩათვლით გამოფენას „1910-1932 წლების ქართული მოდერნიზმი და თბილისური ავანგარდი“ უკავშირებს. ინფორმაციას ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო ავრცელებს. გამოფენის ფარგლებში სულ 403 ექსპონატი იქნება წარმოდგენილი. უწყვეტის ცნობითვე, გამოფენა ძალიან საგულისყურო და მრავალფეროვან მასალას აერთიანებს, რომელიც საქართველოში 1910-1932 წლების განმავლობაში მოდერნიზმული მიმდინარეობის მრავალმხრივ და საინტერესო განვითარების პროცესს ასახავს.

„გამოფენა „1910-1932 წლების ქართული მოდერნიზმი და თბილისური ავანგარდი“ მოიცავს შავ-თეთრ ფერსა და მრავალფეროვან ფერს. ალსანიშნავია, რომ გამოფენის ფარგლებში დამთვალიერებელს საშუალება ექნება პირველად იხილოს ცნობილი ქართველი სცენოგრაფის, ვალერიან სიღამონ-



ერისთვის ნამუშევრები კოლექციიდან, რომელიც კულტურის სამინისტრომ 2021 წელს სამუზეუმო ფონდების (სელოვანების სახსრები და სელოვანების მუზეუმის ფონდები) შევსების პროექტის ფარგლებში შეიძინა. ამასთან, დამთვალიერებელს საშუალება ექნება იხილოს ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის, საქართველოს სელოვანების სახსრის კოლექციის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და შოთა რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმის კოლექციების საგამოფენო ექსპონატები. წარმოდგენილი იქნება ასევე კერძო კოლექციებში დაცული ექსპონატებიც.

გამოფენის კურატორები არიან ნანა ყიფიანი და ნანა შერვაშიძე, ხოლო თანაკურატორი – მარიამ დვალა. გამოფენის ფარგლებში სულ 28 მხატვრის შემოქმედება იქნება წარმოდგენილი, ესენი არიან: ელენე ახვლედიანი, შალვა ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი, ქეთევან მაღალაშვილი, მისიელ გოცირიძე, ალექსანდრე ბაბუჯუა-მელიქოვი, ალექსანდრე შერვაშიძე, დიმიტრი შევარდნაძე, ირინა შტენბერგი, ვალერიან სიღამონ-ერისთავი, კირილე ზდანევიჩი, ილია ზდანევიჩი, იგორ ტერენტიევი, დავით კაკაბაძე, ალექსანდრე ზალცმანი, დიმიტრი კვირიკაშვილი, იოსებ შარლემანი, ზიგმუნდ (ზიგა) ვალიშვილი, იოსებ გაბაშვილი, ირაკლი გამრეკელი, პეტრე ოცხელი, კოლაუ ჩერნიავსკი, რენე შმერლინგი, სერგეი სუდეიკინი, საველი სორინი, ემა ლალავევა-ედინბერგი, თამარ თავაძე და ვოლდემარ ბობერმანი.

შეგახსენებთ, ეროვნული გალერეისა და სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საგამოფენო განრიგის შედგენის მიზნით, კონკურსი 2021 წლის 6 ივლისს გამოცხადდა, ხოლო განაცხადების მიღება 10 დეკემბერს დასრულდა.

ეროვნული გალერეისა და სიღნაღის მუზეუმის საგამოფენო განრიგი სწორედ აღნიშნული კონკურსის წესით შერჩეული პროექტებით დამტკიცდა. მოცემული გამოფენა მიმდინარე წელს უკვე მეორე კონკურსში გამარჯვებული პროექტებიდან“, – ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

დასაბუთს მოკრილი, რომელსაც სამონაზვნო პირზე იძალდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის საგამოძიებო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული ვ.გ. დააკავეს.

უწყების ცნობით, მას ბრალი ედება ძალადობით განხორციელებულ დევნაში, ასევე, პირადი ცხოვრების ამსახველი საიდუმლოების უკანონოდ მოპოვებასა და სოციალური ქსელის გავრცელებაში. გამოძიებამ დაადგინა, რომ ვ.გ.-მ მიმდინარე წლის 18 თებერვალს, თბილისის ზღვის მიმდებარე, ერთ-ერთ შენობაში რ.მ.-ზე ფიზიკურად იძალდა. ძალადობის ამსახველი კადრები მოგვიანებით სოციალური ქსელის „ფეისბუქს“ მეშვეობით გავრცელდა.

ჩამოსართვეს 32,7 კვ.

არადეკლარირებული ელექტროენერგია

საბაჟო-გამგზავნა პუნქტში „სარფი“, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეზაჟე ოფიცრებმა, თურქეთის რესპუბლიკიდან შემოსული, აზერბაიჯანის მოქალაქის პ.ბ.-ს მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომობილის, ეჭვის საფუძველზე, დეტალური დათვალიერების შედეგად, 11 სხვადასხვა დასახელების 32,7 კილოგრამი მედიკამენტი აღმოაჩინეს, – ამის შესახებ ინფორმაციას ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 110 816 ლარი შეადგინა.

